ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 27 სექტემბერი, 2021 №180 (8709) ფასი: 60 თეთრი

## „ოცნება“ — 35%, ნაციონალები — 30%, გახარიას პარტია — 9%

იპსოსის კვლევის შედეგები

გვ.3



# „გახარიას კობახიძისგან მთელი ერი იცავს“

„გახარია ივანიშვილის გადამზღვევიცაა, რუსეთისაც და დასავლეთისაც... „ოცნების“ წინააღმდეგ კომპრომატები მასაც ექნება და ამიტომ ვერ იჭერენ“



ხათუნა ლაგაზიძე: „საპარლამენტო ოპოზიციას ვადამდელი არჩევნები არაფერში სჭირდება“



გვ.2

## „2 ოქტომბერს ამ ჯოჯოხეთიდან უნდა გავთავისუფლდეთ“



გვ.3

ლევან სამუშია: „კობახიძე არაადეკვატურია, ამომრჩეველს ეუბნება, პრემიერობისას გახარია გაბოლებდათ და ჩვენ ეს გვიხაროდაო“

## „საქართველოს შეუძლია, ენკას სასამართლოში საქმე მოუგოს“



გვ.3

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ხელშეკრულება კაბალურია, ამიტომ ძნელია, ისაუბრო პირგასამტეხლოზე“

სოსო შატბერაშვილი: „თუ სააკაშვილმა თავისი მომხრეები კიდევ ერთხელ გააწბილა, მისი და ნაციონალების პოლიტიკაში ყოფნა დამთავრებულია“



გვ.4

## „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები საქართველოში 1990 წლის შემდეგ არ ჩატარებულა“

## დედა-შვილის მკვლელობისთვის ოჯახი ომარ ბაციკაძის დასჯას ითხოვს



გვ.5



ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის შემდეგ აკო ქელიძე და გიორგი კავილაძე ბაზრობაზე საყიდლებზე წავიდნენ

ISSN 1987-9385

2 გახარია ივანიშვილის წინააღმდეგ „მან ხალხის ნდობა ვერ გაამართლა“

6 ისრაელში აუცრელ პედაგოგებს სკოლებში აღარ უშვებენ

5 მარნეულში 80 წლის ქალი დააყაჩაღეს, ფული და ოქრო წაართვეს

6 კრემლი თურქეთს გაუნაწყენდა

# „გახარიას კობახიძისგან მთელი ერი იცავს“

## ხათუნა ლაგაზიძე: „საპარლამენტო ოპოზიციას ვადამდელი არჩევნები არაფერში სჭირდება“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა სურათი იკვეთება არჩევნებამდე 5 დღით ადრე? რას ეუბნება „ოცნება“ დასავლეთს და რას უნდა ველოდოთ პარტნიორებისგან? სად არის ოპოზიცია და რა როლი აქვს გახარიას? რა როლი ექნება მოსმენების სკანდალს და ვინ ჩაჰყვება „ოცნების“ ჩაძირულ გემს? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.**

***— ვხედავთ ბოლო პერიოდში ხელისუფლების ანტიდასავლურ პოლიტიკას, რამაც გააჩინა განცდა, რომ ევროკავშირს კიდევ უფრო დავშორდით. ამ ფონზე გამოდის გაეროში პრემიერი და აცხადებს, იქამდე არ გავჩერდებით, სანამ ევროკავშირის წევრი არ გავხდებითო. პირდაპირ ვიკითხავ, ეს უტიფრობა არ არის?***

— დასავლეთთან ურთიერთობაში ეს პოლიტიკა: როდესაც სიტყვა სხვა იყო და საქმე სხვა, წარმატებით გაგრძელდა რამდენიმე წლის განმავლობაში, იმიტომ, რომ თავად დასავლეთს ჰქონდა არჩეული სირაქლემისა თუ თვალის დახუჭვის პოზიცია, რაც განპირობებული იყო მისი ხედვით, რომ საქართველოში პოლიტიკურ ძალებს შორის კარგი არჩევანი არ იყო: იყო ცუდსა და უარესს შორის არჩევანი. კარგა ხანი დასავლეთი თვლიდა, რომ ცუდი იყო ხელისუფლების მხარდაჭერა, მაგრამ უარესი — ოპოზიციის. „ოცნება“ მას მუდმივად უმტკიცებდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში დაიწყებოდა რევანში და იმ სახის სამოქალაქო დაპირისპირება, რომელიც ქვეყანას უკანმოუხედავად ქაოსში ჩაძირავდა. ამას ერთვოდა ოპოზიციის სისუსტე და ეკლექტურობა, რაც დასავლეთს აკეთებინებდა ხსენებულ არჩევანს.

ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა კი, ვგულისხმობ როგორც შარლ მიშელის შეთანხმების ჩაშლას, ისე სუსის ჩანაწერებს — დიპლომატების მოსმენასა და უმრავლესობის დეპუტატების გამაოგნებელ რიტორიკას, როცა ფაქტობრივად დასავლეთის შეურაცხყოფაზე გადადიან — ამ ყველაფერმა დასავლეთს, ფაქტობრივად, არჩევანი აღარ დაუტოვა. ის ფიქრობს, რომ ქართულ პოლიტიკაში არჩევანი ისევ ცუდსა და უარესს შორის უნდა გააკეთოს, მაგრამ შეიცვალა აქტორები. ამჯერად ნაკლებად ცუდი ოპოზიციაა და უარესი — ხელისუფლება. ამერიკის საელჩოს ბოლო განცხადებაში საარჩევნო გარემო პირდაპირ არადემოკრატიულად არის შეფასებული, რაც იმის წინაპირობაა, რომ არჩევნების შედეგების მიმართ დასავლეთის ქვეყნების ნდობა იქნება უაღრესად კრიტიკული.



„გახარია ივანიშვილის გადამზღვევიცაა, რუსეთისაც და დასავლეთისაც... „ოცნების“ წინააღმდეგ კომპრომატები მასაც ექნება და ამიტომ ვერ იჭერენ“

***— იქნება კრიტიკული, მაგრამ ისევ ჩაერევა პროცესებში? გრიგოლ ვაშაძემ თქვა, რომ დიპლომატებს მიშელის შეთანხმებიდან „ოცნების“ გასვლის შემდეგ მასთან აქვთ ნათქვამი, რომ ისინი შუამავლის ფუნქციას აღარ შეასრულებენ შიდაპროცესებში.***

— გასაგებია, რომ შუამავლის ფუნქციის შესრულებამ აზრი დაკარგა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ოცნება“ რასაც მას უკეთებს, მართლა შეურაცხმყოფელია: ხან ერთ ყბაში ულაწუნებს და ხან მეორეში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ დარჩათ სხვა მექანიზმები „ქართულ ოცნებაზე“ ზეწოლის, თუნდაც სანქციები. მაგრამ აქ ორ კითხვაზეა პასუხი გასაცემი: რამდენად მნიშვნელოვანია საქართველო ამერიკის ახალი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ფონზე ამ რეგიონში? იმიტომ, რომ ვხედავთ ამერიკის გასვლას ახლო აღმოსავლეთიდან, სულ ბოლო მაგალითი ავღანეთი იყო. ობამადან დაწყებული, ამერიკის ინტერესების ღერძი ჩინეთის შეკავებაა და ის ქვეყნები, რომლებიც მას ამ საქმეში პარტნიორად ეგულება. ბაიდენმა სულ ახლახან საერთოდ „ახალი ნატო“ შექმნა ჩინეთის დასაბალანსებლად. ეს ჩანს საქართველოს მიმართ ინტერესის შემცირებაშიც. აქედან გამომდინარე, რა ნაბიჯებისთვის არის ამერიკა მზად საქართველოს საკუთარი გავლენის სივრცეში დასატოვებლად, ამ გადასახედიდან ბუნდოვანია. ვნახოთ, ორი კვირა გაგვცემს ამ კითხვაზე პასუხს.

თუ დასავლეთისთვის საქართველოს მნიშვნელობა არ შემცირებულა, მაშინ ის ყველაფერს გააკეთებს, სანქციების ჩათვლით, რომ თავისი ინტერესები დაიცვას ამ ქვეყანაში. ამ კითხვებზე პასუხებს ჩვენ ვნახავთ არჩევნების შემდეგ უახლოეს დღეებში, თუმცა, თუ დასავლეთმა დაიწყო სანქციებზე საუბარი „ოცნებასთან“, მნიშვნელოვანია, როგორი იქნება მმართველი ძალის რეაქცია.

***— მაგრამ წავა სანქციებზე დასავლეთი, იმიტომ, რომ მაინც თავს იკავებს ხოლმე და ამჯერად წავა?***

— თავს იკავებს ხოლმე, მაგრამ სხვა რაღა ბერკეტი დარჩა „ოცნების“ მიმართ? — არაფერი. აქ მნიშვნელოვანი იქნება „ოცნების“ პასუხი, რაც არ ვიცით, როგორი იქნება. „ოცნებამ“ მოლაპარაკების ჩაშლის ეტაპი გაიარა, ახლა დასავლეთის შეურაცხყოფის ეტაპზე გადავიდა და დარჩა მესამე ეტაპი — პირდაპირი გამიჯვნა დასავლეთისგან. „ოცნებას“ არჩევნების შემდეგ ორ რამეს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება: ან საბოლოოდ არ გაემიჯნოს პროდასავლურ გზას და მითითებები შეასრულოს, ამ შემთხვევაში მას აუცილებლად მოუწევს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, ან წავიდეს დასავლეთთან პირდაპირ კონფრონტაციაზე და ეს ღია ტექსტით მოახდინოს. ამის ნიშნები უკვე ჩანს და საპარლამენტო დეპუტაცია უკვე შეურაცხყოფებზეა გადასული დასავლელი დიპლომატების, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ელჩის მიმართ.

ამ შემთხვევაში ორუცნობიან განტოლებასთან გვაქვს საქმე. არც ის ვიცით, რამდენად მწვავე იქნება დასავლეთის რეაქცია არჩევნების გაყალბებაზე, რისთვისაც ემზადება ხელისუფლება და ეს ცხადია, მას სხვა გამოსავალიც არ აქვს, რადგანაც მისი რეიტინგი 33-35%-ის ფარგლებშია. თუ „ოცნება“ დასავლეთთან თანამშრომლობაზე წავა, მაშინ ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია. ამ კითხვებზე პასუხებს ახლო მომავალში მივიღებთ.

***— „კოკაინშიკი გახარია“, რა კამპანიაა ეს, რაც „ოცნებამ“ წამოიწყო და რეალურად დღესაც მუშაობს?***

— მუშაობს, ძალიან ეფექტურადაც, ოღონდ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მუშაობს გახარიას სასარგებლოდ. სოციალური ქსელები საკმაოდ კარგი ინდიკატორია და მინდა გითხრათ, რომ რასაც ამ თემასთან დაკავშირებით ვუყურებ, რაღაც საკითხის გარშემო ასეთი გაერთიანებული მთელი ერი ბოლო პერიოდში მე არ მინახავს: გახარიას კობახიძისგან იცავს მეოცნებეც, ნაციონალიც, პარტიულიც და უპარტიოც, პროდასავლელიც, პრორუსიც და შუაშისტიც — ყველა გაერთიანდა გახარიას დასაცავად კობახიძის ტრაგიკომიკური ბრალდებების წინააღმდეგ.

***— მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი წავლენ და გახარიას მისცემენ ხმას?***

— ეს პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ „ოცნების“ მიმართ ნდობა კრიტიკულად იკლებს. მეორე, „ოცნება“ თავისი სპიკერების სახით უკვე სასაცილოა და მესამე იმასაც, რომ გარკვეულწილად გახარიასაც ამომრჩეველი ემატება, ოღონდ, ცხადია, მარტო ეს ფაქტი არ მუშაობს ამომრჩევლის შემატებაზე. აქ მთავარია, რა ანალოგი არსებობს 2003 და 2012 წლის ხელისუფლებებსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის. პირველ რიგში, ეს არის დემორალიზაცია, რაც ბოლო წლებში ჰქონდათ ხელისუფლებებს. ნაციონალების მაგალითი რომ მოვიყვანოთ ციხის კადრების შემდეგ, რომლითაც დემორალიზებული იყო მთლიანად სახელისუფლებო ვერტიკალი და სპეცსამსახურები, დღესაც ანალოგიური მდგომარეობაა.

***— თუმცა არ არის პროტესტი ისეთი მძაფრი, როგორიც ალბათ უნდა იყოს.***

— უნდა გავმიჯნოთ სახელისუფლებო ვერტიკალის, განსაკუთრებით სამართალდამცავი სტრუქტურებისა და მეორე — ხალხის რეაქცია. გეთანხმებით, რომ ხალხის რეაქცია, ერთი შეხედვით, აბსოლუტურად არაადეკვატურია. სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში ამას მოჰყვებოდა მთავრობის სრული გადადგომა და მრავალრიცხოვანი მიტინგები, მაგრამ ბოლო წლების ვითარებამ აჩვენა, რომ მოსახლეობის პროტესტი უფრო საარჩევნო ურნებთან გამოიხატება და ნაკლებად — ქუჩაში. ამიტომაც ამ პროტესტის ინდიკატორი 2 ოქტომბრის არჩევნები იქნება, თუმცა ის, რომ ოპოზიციამ ამ მასშტაბის სკანდალი სათავისოდ ვერ გამოიყენა, ჩანს: საპატრიარქო უფრო ოპოზიციასა და ოპოზიციურ ტელევიზიებზეა გულმოსული და თავის გადარჩენის გზას ისევ „ოცნების“ ხელისუფლებასთან ალიანსში ხედავს.

***— ჩანს, რომ არჩევნებამდე უკვე ჩამოშლის პირას არის ხელისუფლება?***

— არა, მე ვგულისხმობ, რომ დაბნეულობა და დემორალიზაციაა. ასევე იციან შიდარეიტინგები და ის, რომ მათი რეიტინგი 33-35%-ს არ სცდება და ეს ყველაფერი, ბუნებრივია, შიგნით დემორალიზაციას იწვევს. საკმარისია ერთი ბიძგი იმისათვის, რომ მთელი ეს ვერტიკალი ჩამოიშალოს. ასეთ ბიძგად შეიძლება იქცეს 43%-ის ვერაღება. იმის მიუხედავად, რომ „ოცნებამ“ მიშელის ხელშეკრულების აღებული ვალდებულება

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნიკა მელია: „კალაძემ, კობახიძემ და სხვებმა იციან, რომ შანსი არ აქვთ“

— სპორტული ინტერესი მაქვს გავიგო, ვინ იქნება „ქართული ოცნების“ ის სპიკერი, რომელიც ჩაატარებს ბრიფინგს და საზოგადოებას ამცნობს, რომ ჩაინიშნა ახალი საპარლამენტო არჩევნები.



ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ოპოზიციის ნაწილის თბილისის მერობის კანდიდატმა ნიკა მელიამ ჟურნალისტებთან განაცხადა.

ნიკა მელიას თქმით, მმართველი გუნდის ლიდერებმა მასზე უკეთ იციან, რომ შანსი არ აქვთ, განწირულები არიან მარცხისთვის და საჯაროდაც უნდა აღიარონ, რომ წელს ოპოზიცია იმარჯვებს.

— დარწმუნებული ვარ, რომ ბატონმა კალაძემ, კობახიძემ და სხვებმა ჩემზე უკეთ იციან, რომ დამარცხდებიან 2 ოქტომბერს და რომელიმე მათგანი იძულებული იქნება, ჩაატაროს ბრიფინგი „ქართულ ოცნებაში“ და თქვას, რომ ჩვენ ახლოსაც ვერ მივედით შეთანხმების მიერ განსაზღვრულ პროცენტთან და ამიტომ ჩაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამ ბრიფინგს ვინ ჩაატარებს, არ ვიცი, მაგრამ ჩემზე კარგად იციან, რომ შანსი არ აქვთ. არიან განწირულები მარცხისთვის და საჯაროდაც უნდა აღიარონ, რომ ოპოზიცია წელს იმარჯვებს.

რატომ არ აღიარებენ, ესეც გასაგებია, საკუთარი აქტივისტების გასამხნევებლად საუბრობენ, თითქოს მათ კარგად აქვთ საქმე, მაგრამ ისინიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ და როგორია განწყობა, ზედმიწევნით კარგად იციან. რაც არ უნდა გულზე მჯიღი ირტყან კობახიძემ და კალაძემ, რომ საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდება, მით უფრო, დიდი სხვაობით დაშორდებიან 43%-იან ნიშნულს, — აღნიშნა ნიკა მელიამ.

# კახა კალაძე: „აუცილებლად გავიმარჯვებთ პირველივე ტურში“

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ პირველივე ტურში, — ამის შესახებ თბილისის მოქმედმა მერმა, „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ მედიასთან განაცხადა, რითაც თვითმმართველობის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით არსებული მოლოდინების თაობაზე დასმულ კითხვას უპასუხა.




კახა კალაძემ მოსახლეობას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და პირობა დადო, რომ პატივისცემას გაკეთებული საქმეებით დაუბრუნებს.

— პირველ რიგში, მინდა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას მადლობა ვუთხრა მხარდაჭერისთვის, თანადგომისთვის. ძალიან დიდი მადლობა თბილისელებს ამ განსაკუთრებული დამოკიდებულებისთვის — სიყვარულისთვის, პატივისცემისთვის, რასაც ვგრძნობ ყოველდღიურად. ამ ქალაქში მცხოვრებ ყველა ადამიანს ვპირდები, ამ პატივისცემას გაკეთებული საქმეებით დავაბრუნებ, მასშტაბური პროექტებით, რომელიც დღეს სასიცოცხლოდ სჭირდება ჩვენს ქალაქს.

მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ პირველივე ტურში. ამის თქმის უფლებასა და საფუძველს მაძლევს თბილისელების მხარდაჭერა და თანადგომა, — აღნიშნა კალაძემ.

საქმეებით, რომლებიც მომდევნო წლებში გაკეთდება, ისინიც იამაყებენ, რომელთაც სხვა პოლიტიკური შეხედულებები აქვთ.

— ვაგრძელებთ წინასაარჩევნო კამპანიას ჩვეულებრივად, როგორც გვქონდა დაგეგმილი. ჩემი საარჩევნო კამპანიის დღის წესრიგი მხოლოდ პოზიტივით შემოიფარგლება, შემოიფარგლება მხოლოდ თბილისზე საუბრით, იმ გასაკეთებელ საქმეებზე, რაც გვაქვს მომდევნო წლების განმავლობაში დაგეგმილი.

გულწრფელად გეუბნებით, ისეთ რაღაცებს გავაკეთებთ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ყველა ამ ქალაქში მცხოვრები ადამიანი იამაყებს, მათ შორის ისინიც იამაყებენ, ვისაც სხვა პოლიტიკური შეხედულებები აქვს. გულში მათაც უხარიათ, ამდენი კარგი საქმე რომ კეთდება, რადგან ისინიც ამ ქალაქში ცხოვრობენ თავიანთი შვილებით, შვილიშვილებით და ცხადია, მათაც უხარიათ, რადგან ისინიც იყენებენ ამ ბენეფიტს, — განაცხადა კალაძემ.

# გახარია ივანიშვილის წინააღმდეგ

## „მან ხალხის ნდობა ვერ გაამართლა“

ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში გიორგი გახარიამ ბიძინა ივანიშვილზე ისაუბრა.

— ბიძინა ივანიშვილმა ნდობა არ გაამართლა, მარტო ჩემი არა, მოქალაქეების, — განაცხადა მან.

2021 წლის დასაწყისში ჯერ კიდევ პრემიერი გახარია ამბობდა:

— „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობას აქვს თავისი ახსნა, რაშიც ივანიშვილს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი. ეს ის როლია, რომლითაც ქვეყანამ ბოლო 8 წლის განმავლობაში მიაღწია სამართლიანობის დამკვიდრებას და ქართული პოლიტიკის ცენტრში განსაზღვრა ადამიანი და მისი ღირსება.

„ფორმულას“ ეთერში მას ჰკითხეს, ამ სიტყვებს ახლაც მოაწერდა თუ არა ხელს.

გახარიამ კითხვას ასე უპასუხა:

— არა, ბიძინა ივანიშვილმა ნდობა არ გაამართლა. მარტო ჩემი არა, მოქალაქეების.



ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გახარიამ ივანიშვილი საჯაროდ გააკრიტიკა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „2 ოქტომბერს ამ ჯოჯოხეთიდან უნდა გავთავისუფლდეთ“

## ლევან სამუშია: „კობახიძე არაადეკვატურია, ამომრჩეველს ეუბნება, პრემიერობისას გახარია გაბოლებდათ და ჩვენ ეს გვიხაროდაო“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან სამუშია პასუხობს.**

***– ლევან, საკმაოდ მძიმე წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ქვეყანაში. ტოტალური მოსმენები, დაპირისპირება. როგორ აფასებთ შექმნილ სიტუაციას?***

– მოსმენებთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ ქვეყანა არის კატასტროფისა და კოლაფსის წინაშე. ვხედავთ, რომ ყველა და ყველაფერი ისმინება აბსოლუტურად, ყველა ინსტიტუცია და ყველა დაწესებულება, ყველგან მოსმენებია. 37 წლის თანამედროვე ვარიანტია. მესანთლიდან დაწყებული, პატრიარქით დამთავრებული, აბსოლუტურად ყველას უსმენენ. ასევე ვხედავთ, რა ხდება ექიმებთან დაკავშირებით. ყველასა და ყველაფერს უსმენენ. ეს მარაზმი უნდა დასრულდეს 2 ოქტომბერს.

***– არის იმის შანსი, რომ ამ არჩევნებზე დამარცხდეს „ქართული ოცნება“?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ესენი დამარცხდებიან 2 ოქტომბრის არჩევნებზე. ჩვენი მოქალაქეები ამას აღარ აპატიებენ „ოცნების“ ხელისუფლებას. მთელი 9 წელი ადამიანის უფლებების დარღვევა, ფეხქვეშ გათელვა, შიმშილი, ყველაფერ ამას, რაც არის ამ ქვეყანაში, საქართველოს მოქალაქეები არ აპატიებენ. ამაში ვარ ღრმად დარწმუნებული.

***– ამბობენ, ნაციონალური მოძრაობაც თავისი პროვოკაციული გამოხდომებით, სააკაშვილის განცხადებებით, რომ მოდის საქართველოში, ხელს უწყობს „ოცნებას“, მათი ამომრჩევლის მობილიზებას ახდენსო. ამაზე რას იტყვით?***

– სააკაშვილთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ჩამოვა-არ ჩამოვა – ეს საერთოდ არ მაინტერესებს. ყველა ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, სად წავა და სად წამოვა ან რას მოიმოქმედებს. ყველამ ჩვენი საქმე რომ ვაკეთოთ, უმჯობესი იქნება. ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და წინსვლა – აი, ეს უნდა იყოს ყველას საზრუნავი. ამ პირობებში ქვეყანას საერთოდ მომავალი არ უწერია. ჩვეულებრივად მივდივართ რუსეთში, შემიძლია გითხრათ. „ქართულ ოცნებას“ პირობითად ჰქვია ქართული, თორემ ეს არის რუსული ოცნება. ხელისუფლებას ქვეყანა მიჰყავს რუსეთში.

***– საკმაოდ მკაცრი შეფასებები ჰქონდა კარლ ჰარცერს მოსმენებთან დაკავშირებით...***

– მე ვიტყოდი, რომ ადეკვატური შეფასება იყო, გამოხატავდა იმ სიტუაციას რომელიც არის დღეს ჩვენს ქვეყანაში. სხვა რაზე უნდა ვისაუბროთ, ელჩებს უსმენენ! ამის იქით რაღა უნდა იყოს?!

***– კალაძემ გააკეთა შეფასება, ნორმისა და კანონის ფარგლებში ყველას მოსმენის უფლება გვაქვსო.***

– არც ერთი ნორმა არ ითვალისწინებს ამას. კალაძის შეფასებებზე რა უნდა ვთქვა, უბრალოდ, სამარცხვინოა. მისნაირები რომ მართავენ ქვეყანას, იმიტომ არის ჩვენი საქმე კარგად. რას ნიშნავს, ნორმის ფარგლებში? ელჩების მოსმენა როგორ შეიძლება, ან რომელი ნორმის ფარგლებში ჯდებოდა ის მოსმენები, რომლებიც იყო?! ყველა ადამიანზე აქვთ დოსიე შედგენილი. წარმოუდგენელი რამ ხდება. როგორ შეიძლება, ნორმალურმა ადამიანმა ამ ყველაფერს ნორმა უწოდოს!

***– თავიდან იყო მცდელობა, ეს მოსმენები ოპოზიციისთვის გადაებრალებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.***

– მათ ბევრი რამის მცდელობა აქვთ, აბსოლუტურად ყველაფრის. ამის მცდელობა რომ უშედეგო იყო, საზოგადოების დაბოლებას რომ ცდილობდნენ და არ გამოუვიდოდათ, ამას ეგრევე მიხვდნენ. ერთხელ და სამუდამოდ ამ ქვეყანაში მოსმენებთან დაკავშირებით ყველამ მკაცრად უნდა აგოს პასუხი. თუ პასუხისგება არ იქნება, უბრალოდ, წარმოუდგენელია, ქვეყანა განვითარდეს.

***– გაქვთ მოლოდინი რომ რამეს ობიექტურად გამოიძიებენ?***

– ამათ ხელში არავის არაფრის მოლოდინი არა აქვს. დარწმუნებული ვარ, მალე იქნება კოალიციური მთავრობა, შეიცვლება სისტემა და ყველამ უნდა აგოს პასუხი. რომელი მთავრობის დროს იყო, ამას არა აქვს მნიშვნელობა. აბსოლუტურად ყველამ უნდა აგოს უმკაცრესად პასუხი, სადაც ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს. ერთხელ და სამუდამოდ ამ ჯოჯოხეთიდან უნდა გავთავისუფლდეთ. წარმოუდგენელი რამე ხდება, ის, რასაც უკეთებენ საკუთარ მოქალაქეებს. ხომ ვხედავთ, მოსამართლეებთან სმს-ებით აგვარებენ ბიზნესდავებს. მე არავის უდანაშაულობის პრეზუმფციას არ ვარღვევ, მაგრამ, ხომ წარმოგიდგენიათ, სად არის ეს ქვეყანა!

***– ჩვენ დროს სასამართლო სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელია, მიშას დროს იყო მართულიო.***

– მიშას დროსაც ვიბრძოდი უსამართლობის წინააღმდეგ და ახლაც ვიბრძვი. ახლა საერთოდ კატასტროფა ხდება. რაზე ვლაპარაკობთ?! იმდროინდელი მურუსიძე დღეს გამოიყვანეს გმირი. იმდროინდელ მურუსიძეზე დღეს გვეუბნებიან, რომ ევროპაში პირველი მოსამართლეა. უნამუსობასაც ხომ აქვს საზღვარი! რით არის ეს სასამართლო წინაზე უკეთესი? მურუსიძე გამოიცვალა? ჩინჩალაძე გამოიცვალა? გოგინაშვილი გამოიცვალა თუ რომელი ერთი მოსამართლე დავასახელო?! საერთოდ რაზეა საუბარი!

***– სჭირდებათ მართული სასამართლო, არჩევნები აქვთ მოსაგები.***

– არა მარტო არჩევნები. პოლიტიკური საქმეები, პოლიტიკური დევნის განხორციელება.

***– მთლიანად პოლიტიზებულია დღეს სასამართლო სისტემა?***

– შეიძლება ითქვას, რომ დღეს სასამართლო საერთოდ არ არსებობს, მხოლოდ სახელწოდებაა. ის ფუნქციები, რომლებიც სასამართლოს უნდა ჰქონდეს, არა აქვს. დღეს სასამართლო პოლიტიკური დევნის ორგანოა.

***– ასეთი აგრესიული წინასაარჩევნო კამპანია, ეს მუშტი-კრივი რით დასრულდება?***

– რასაც დღეს ვუყურებთ, ეს არის „ოცნების“ საფირმო ნიშანი. რაც იმ დღეს დმანისში მოხდა, სიკვდილს ბეწვზე გადაურჩნენ ადამიანები. ამაზე რომ პასუხისმგებელი ხელისუფლებაა, ამას რად უნდა საუბარი. თავიანთ გამოსვლებშიც, თავიანთი რიტორიკით, თავიანთი საუბრით, აგრესიით, ლანძღვა-გინებით, ეს ჩვეულებრივად „ოცნების“ ხელწერაა.

***– ვინც მათთან არაა, ყველა კრიმინალია, დამნაშავეა, „კოკაინშიკია“.***

– ეს ყველაფერი მათ ადეკვატურობაზე მეტყველებს. საერთოდ წყობიდან არიან გამოსული.




***– ირაკლი კობახიძის განცხადებები ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებსო.***

– კობახიძის რომელი განცხადება მოგისმენიათ ადეკვატური? რომელიმე ჯდება ადეკვატურობის სტანდარტში? არც ერთი! გამოდის ადამიანი და ამბობს, ბოლს ვეძახდით პრემიერმინისტრ გახარიასო. საზოგადოებას ატყუებდა, აბოლებდა და ჩვენ ეს გვიხაროდაო. გახარიაც და ყველა დანარჩენიც რომ ბოლია და მხოლოდ ტყუილი იციან, ეს გასაგებია, მაგრამ ამას თავიანთ ამომრჩეველს ეუბნებიან ღიად. ამის იქით რაზე უნდა ვისაუბროთ საერთოდ!

***– გაქვთ იმის მოლოდინი, რომ „ოცნება“ ვერ აიღებს 43%-ს?***

– ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

***– მიშელის შეთანხმებიდან რომ გავიდნენ და მოიხსნეს ეს ვალდებულება?***

– ყველა კარგად ვხვდებით, რომ მოხსნას არანაირი აზრი არა აქვს. მიშელის ხელშეკრულებიდან გასვლა არის ის, რომ არჩევნებზე მიმსვლელთა რაოდენობა დასწიონ, აზრი დაუკარგონ არჩევნების მნიშვნელობას, ხალხს ცვლილებების იმედი გაუქრონ. აი, ამას ცდილობენ, თორემ, დამერწმუნეთ, ხელშეკრულება ძალაშია და ვერავინ ვერაფრის ანულირებას ვერ მოახდენს. დარწმუნებული ვარ, ვადამდელი არჩევნებიც იქნება და „ოცნებაც“ წავა. ხალხის ნებას წინ ვერავინ აღუდგება!

# „ოცნება“ – 35%, ნაციონალები – 30%, გახარიას პარტია – 9%

## იპსოსის კვლევის შედეგები




რომელ პარტიას მისცემდით ხმას, ხვალ რომ თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს? – (მთელი ქვეყნის მასშტაბით) – იპსოსის კვლევის შედეგები ასეთია:

ქართული ოცნება – 35%
ნაციონალური მოძრაობა – 30%
საქართველოსთვის – 9%
ევროპული საქართველო – 4%
ხალხისთვის – 4%
ლელო – 3%
მესამე ძალა – 3%
ლეიბორისტული პარტია – 3%
გირჩი – მეტი თავისუფლება – 2%
პატრიოტთა ალიანსი – 2%
დროა – 1%
მოქალაქეები – 1%
სხვა პარტიები – 3%

ეს არის ალოკაციის მეთოდით მიღებული შედეგები, ანუ აქ ასახულია იმ რესპონდენტების პასუხები, რომლებსაც უკვე გადაწყვეტილი აქვთ, ვის მისცემენ ხმას და აქვეა გადანაწილებული იმ რესპონდენტების პასუხებიც, რომლებიც პირდაპირ არ ასახელებენ თავიანთ ფავორიტს, მაგრამ დამატებითი კითხვების მეშვეობით კვლევის ავტორებისთვის ნათელი ხდება, რომელი პარტიის ან რომელი კანდიდატის მომხრეები არიან ისინი.

კვლევა ჩატარებულია „მთავარი არხის“ დაკვეთით. IPSOS-ის მიერ გამოიკითხა არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 1500 რესპონდენტი, პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით, 21 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.

# „საქართველოს შეუძლია, ენკას სასამართლოში საქმე მოუგოს“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ხელშეკრულება კაბალურია, ამიტომ ძნელია, ისაუბრო პირგასამტეხლოზე“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პასუხობს.**

***– ბატონო დიმიტრი, კომპანია „ენკა“, რომელსაც უნდა აეშენებინა „ნამახვანჰესი“ და ხალხი აპროტესტებდა, საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას წყვეტს. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?***

– საქმე გვაქვს ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს გამარჯვებასთან. ერთსულოვნებამ, აბსოლუტურმა კონსოლიდაციამ, მონდომებამ ამ დღემდე მოგვიყვანა.

***– ხეობის მცველებზე რას იტყვით?***

– მადლობა ხეობის მცველებს გმირული ბრძოლისთვის, მაგრამ, არ ვიქნები მართალი, თუ მხოლოდ რიონის ხეობის მცველებზე გავამახვილებთ ყურადღებას. რიონის მცველებსა და საკუთარ რაიონს ძალიან ბევრი პატიოსანი ადამიანი გვერდში ედგა. დიდი მადლობა ილია ძოწენიძეს, რომელიც არაერთხელ დასახელდა ამ პროცესთან დაკავშირებით ნეგატიურ კონტექსტში, მაგრამ ყველაზე პოზიტიურ როლს ასრულებდა.

მისი ღვაწლი დაფასდა. არ დაფასდებოდა, ირაკლი ღარიბაშვილს ხელი რომ არ მოეწერა სახელმწიფოსა და ტრანსკონტინენტალურ კომპანია „ენკას“ შორის კონტრაქტის გაწყვეტისთვის.

***– ხელშეკრულების გაწყვეტას ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი უკვე მოაწერა? „ენკამ“ გამოაქვეყნა განცხადება, რომ ხელშეკრულებას წყვეტს.***

– ამ შემთხვევაში ბატონი ირაკლის დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი იყო.

***– მან ხელშეკრულების შესაფასებლად საერთაშორისო ორგანიზაცია მოიწვია.***

– მონიტორინგი ჩატარდა და მერე ხელისუფლებამ გადაიბარა პასუხისმგებლობა. დაინახეს, რომ პრობლემაა, რომელიც, თავის მხრივ, ხელისუფლებას აუცილებლად ძალიან დიდ პრობლემას შეუქმნიდა მოახლოებულ არჩევნებში. ამ საკითხს არ დააჩქარებდნენ, რომ არა მუნიციპალური არჩევნების წინ კრიზისი.

არიან სკეპტიკოსები, რომლებიც აცხადებენ, რომ მთელი ეს ბაკქანალია ჩაფიქრებული იყო იმისთვის, რომ შემდგომში ხელშეკრულების გაწყვეტის გამო სახელმწიფოს „ენკასთვის“ 400 მილიონი გადაეხადა და მერე ეს თანხა ელიტური კორუფციის გარკვეული მაჩვენებელი ყოფილიყო.



***– როგორ შეიძლება, ეს თანხა წავიდეს სხვის ჯიბეში, თუკი ოფიციალურად გადასახდელი იქნება?***

– ამას ზოგიერთი სკეპტიკოსი ამბობს. ასეთ მოსაზრებას ავითარებენ, თითქოს თავიდანვე კაბალური, სრულიად მიუღებელი პირობები ჩაიწერა ხელშეკრულებაში, რათა საბოლოოდ ხელშეკრულება გაწყვეტილიყო და დიდი ფინანსური სანქციის დაკისრებით შემდგომში გარკვეული კორუფციული სქემა გათამაშებულიყო „ენკასა“ და ხელისუფლებას შორის, მაგრამ ამ მოსაზრებას მე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ.

***– რატომ?***

– გიგანტური სამუშაოები იყო ჩატარებული. ფაქტობრივად, მთავარი გვირაბის მშენებლობა უკვე დაწყებული და მრავალი ათეული მილიონი გადახდილი იყო. შესაბამისად, ძნელია იმაზე აპელირება, რომ ეს გაკეთდა შემდგომში 400 მილიონის საჯილდაო ქვად გასათამაშებლად.

***– ვთქვათ, საქართველომ 400 მილიონი გადაურიცხა კომპანია „ენკას“, მერე როგორ შეიძლება, ეს 400 მილიონი აქეთ ვინმეს ჯიბეში მოხვდეს?***

– ჯერ საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, დაეკისროს თუ არა საქართველოს პირგასამტეხლო 400 მილიონის ოდენობით. ძალიან ბევრი პირობაა გასათვალისწინებელი. ხელშეკრულება იყო კაბალური, საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო. ამიტომ ძალიან ძნელია, ისაუბრო პირგასამტეხლოზე.

***– შანსი გვაქვს, რომ საარბიტრაჟო სასამართლოში საქმე მოვიგოთ?***

– ძალიან დიდი შანსი გვაქვს, საარბიტრაჟო სასამართლოში საქმე მოვიგოთ ისე, რომ არავითარი პირგასამტეხლო არ გადავიხადოთ.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?***

– მდინარის კალაპოტის გასხვისებით სახელმწიფოს არსებითი ზიანი მიადგა. დაირღვა საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონმდებლობა და ზოგადი კანონმდებლობა, შესაბამისად, არავითარი უფლება არ ჰქონდათ „ენკასა“ და იმდროინდელ ხელისუფლებას (ბახტაძის დროს იქნა გამოცემული დადგენილება მისი გადაცემის თაობაზე და შემდეგ უშუალოდ გახარიამ მოაწერა ხელი), ხელშეკრულებისთვის ხელი მოეწერათ.

***– გეოპოლიტიკურად როგორ ჩანს ეს საკითხი?***

– სრულიად დასაბუთებულად გამოითქვა ეჭვი, რომ კომპანია „ენკასთან“ დადებული ხელშეკრულებით განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭებოდა თურქეთის, როგორც ნატოს წარმომადგენელი სახელმწიფოს უფრო დიდი დოზით შემოსვლას საქართველოში, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც თურქეთმა ძალიან სერიოზული გეოპოლიტიკური ნაბიჯები გადადგა აზერბაიჯანთან ურთიერთობაში და გახდა მისი პარტნიორი აზერბაიჯან-სომხეთის ომში.

თურქეთის მშვიდობიანი შემოსვლა „ენკას“ ეგიდით საქართველოში და „ენკას“ მიერ ასეულობით ჰექტარ ფართობზე საკუთარი ინფრასტრუქტურის განთავსება რეალური საფრთხე იყო, რაზეც ძალიან ბევრი ექსპერტი საუბრობდა.

ხელშეკრულების შეწყვეტით შემდგომი კონფრონტაციის შესაძლებლობა იქნა აღკვეთილი.

***– რას გულისხმობთ?***

– ვინაიდან რიონის ხეობა სტრატეგიული დანიშნულებისაა და წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო ზოლს რუსეთის ფედერაციასთან, ნატოს წევრი სახელმწიფოს შემოჭრა რუსეთის სამხრეთ საზღვრების სიახლოვეს გარკვეულ საფრთხეებს ქმნიდა საქართველოსთვის.

***– რუსეთი ყველაფერს საფრთხედ აღიქვამს თავისი ინტერესების განსახორციელებლად,***

– საფრთხედ აღიქვამს და შეიძლება ჩვენ გავჭყლეტილიყავით. საჭიროა, ვაკონტროლოთ თურქეთის ეკონომიკური აქტივობა საქართველოში. ისეთი პროექტი, რომელიც ზურგში ურტყამს საქართველოს, უნდა აღკვეთილიყო. ვულოცავ მთელ საქართველოს და იმედს ვიტოვებ, მეორე დავითგარეჯი იქნება.

მესამე დამაგვირგვინებელი ფაზა კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს, როდესაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კვლავ დე ფაქტო და დე იურე საქართველოს ფარგლებში დაბრუნდება.

2021, 27 სექტემბერი, №180

# „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები საქართველოში 1990 წლის შემდეგ არ ჩატარებულა“

## სოსო შატბერაშვილი: „თუ სააკაშვილმა თავისი მომხრეები კიდევ ერთხელ გააწბილა, მისი და ნაციონალების პოლიტიკაში ყოფნა დამთავრებულია“

მარიამ მჭედლიშვილი

**როგორ აღიქმება პრემიერ ღარიბაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩვეულებისამებრ თავისუფალი და სამართლიანი იქნება? რატომ არის ნონსენსი და ამომრჩევლისათვის დამაბნეველი ამ არჩევნების ფაქტობრივ რეფერენდუმად გამოცხადება? რა მოელით სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას? რა შემთხვევაში იქმნება საფუძველი მესამე ძალის შესაქმნელად და ხელისუფლებაში მოსასვლელად? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**

***— გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე გამოსვლისას საქართველოს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი არჩევნების თემასაც შეეხო. მისი თქმით, „ოცნების“ პირობებში ჩატარებული ყველა არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყო და მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც ამგვარი იქნება. რას იტყვით?***

— ჩვენდა სამწუხაროდ, წინა არჩევნებს ასეთ მაღალ შეფასებას ვერ მივცემ. არჩევნების წინ ყოველთვის არსებობდა მოსყიდვა, ცხვირპირის დალეწვა დაშანტაჟება. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები საქართველოში 1990 წლიდან არ ჩატარებულა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიც კი გაყალბდა. გაყალბდა, რასაკვირველია, ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ. მაშინ სააკაშვილი ბევრ ძალადობრივ მოქმედებასაც გეგმავდა, მაგრამ არ გამოუვიდა. მას შესაბამისი მოწოდებებით მიმართეს ამერიკელმა სენატორებმა და კონგრესმენებმა. მანამდე მას ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარებაზე ესაუბრა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი. 2012 წელსაც მოხდა ფალსიფიკაცია, მაგრამ დიდი იყო ხალხის აქტიურობა და ნაცმოძრაობამ მაინც ვერც გაიმარჯვა. საქართველოში გამართულ არჩევნებს ძნელია, უწოდო თავისუფალი და სამართლიანი. ჩვენ ორი რევოლუციაც გვინახავს – 1991-92 წლებისა და 2003 წლის რევოლუციები.

***— თავ-პირის ურთიერთდალეწვა და გაწევგამოწევა წინასაარჩევნოდ ტრადიციაა. ეს თქვენც აღნიშნეთ. ახლანდელი მოვლენები განსხვავებულია თუ წინანდელი პრაქტიკის გაგრძელება?***

— მეთოდებში ახალი ვერაფერი შევამჩნიე. ახალი ისაა, რომ ოპოზიცია ლაპარაკობს გაუგებარ რეფერენდუმზე. რეფერენდუმს ნიშნავს ხელისუფლება. მასზე გამოაქვთ შეკითხვები, რომლებსაც მოქალაქეებმა უნდა უპასუხონ. აქ ამგვარი არაფერია.



**„სოლიდური დაფინანსების შემთხვევაში ხელისუფლების ჩამნაცვლებელი გააქტიურდება და მოვა ხელისუფლებაში“**

***— ოპოზიცია გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივ არჩევნებზე გამოჩნდება, უშვებს თუ არა ხალხი „ოცნების“ ხელისუფლებას.***

— დავუშვათ, ასეა. ისიც წარმოვიდგინოთ, რომ „ქართული ოცნება“ მარცხდება. ეს სულაც არ ნიშნავს 2020 წელს გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგის გაუქმებას. ადგილობრივი არჩევნები, მერები, საკრებულოები ერთია, ცენტრალური ხელისუფლება – მეორე. ხალხსაც ვერ გაუგია, რას ნიშნავს ეს რეფერენდუმი.

***— ამომრჩეველი იბნევა?***

— რა თქმა უნდა, ბევრი იბნევა. ზოგიერთი ადამიანი სახტად რჩება და ბრაზობს. ვინ გაიგონა ამგვარი რეფერენდუმი და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამო პარლამენტის არჩევნების ბათილად ცნობა, პარლამენტის არაღიარება?! თუ ხალხს „ოცნების“ შეცვლა უნდა, კი ბატონო, შეცვალოს, ოღონდ, ნაცმოძრაობას ნუ დააბრუნებს, ისეთი ხალხი და პარტიები აირჩიოს, რომლებსაც ბნელი წარსული არა აქვთ და ხალხისთვის რაღაც გაუკეთებიათ. წარამარა რეფერენდუმის სკანდირებით ხალხი იბნევა. არანაირი არც პირდაპირი და არც ირიბი რეფერენდუმი არ ტარდება.

***— მიშელის დოკუმენტიც ითვალისწინებს ადგილობრივი არჩევნების შედეგის დაკავშირებას ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან. ამიტომ ჩაიწერა 43%.***

— ჩემი აზრით, ეს ნონსენსია. ბატონი მიშელისა და ევროსტრუქტურების მიმართ პატივისცემით ვარ გამსჭვალული, თუმცა მასთან შეკითხვა მაქვს. ბატონ მიშელთან შეხვედრის საშუალება რომ მომეცეს, ვკითხავდი – სად, რომელ ქვეყანაში და როდის დაუკავშირებიათ ადგილობრივი არჩევნების შედეგი პარლამენტის არჩევნებთან?! ვინ მოიგონა ციფრი 43? რატომ 43% და არა 42 ან, ვთქვათ, 50%? ავად ჩატარდა თუ კარგად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგი ცნეს ეუთომ და სხვა საერთაშორისო თუ ევროპულმა ორგანიზაციებმა. ამიტომ პარტიებს ეს 43%-იანი პუნქტი არ უნდა მიეღოთ. მიშელის დოკუმენტის ბედი უცნაურად წარიმართა – ხელმომწერმა „ქართულმა ოცნებამ“ დოკუმენტი დატოვა, ნაციონალური მოძრაობა კი მას 6 თვის შემდეგ შეუერთდა.

***— მიშელის შეთანხმებას საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დონეზე განიხილავენ. „ოცნების“ შეუთანხმებელი გამოსვლა დარღვევად განიხილება.***

— ჯერ პოლიტიკურად შევაფასებ. თუ ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ყველაზე მსხვილი, კარგად დაფინანსებული და ტელევიზიების მქონე პარტიაა, აქვს უფლება, არ შეუერთდეს შეთანხმებას, მაშინ, გაუგებარია, რატომ არა აქვს „ქართულ ოცნებას“ უფლება, დატოვოს დოკუმენტი?! თუ აქ დარღვევა და დანაშაულია, მაშინ, შესაძლებელია ჩივილი ევროსასამართლოში. საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებენ სააკაშვილის მომხრე ევროპარლამენტარები. მე თუ მკითხავთ, მიშელის დოკუმენტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს კონსტიტუციაში არსად წერია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები აბათილებს პარლამენტის არჩევნებს.

***— სააკაშვილის მომხრე ევროპარლამენტარები ახსენეთ. სინამდვილეში, სააკაშვილს დასავლეთის მხარდაჭერაში დიდი ჩავარდნა აქვს.***

— დიახ. მას უჭერს მხარს ევროპარლამენტის სახალხო პარტიის მსხვილი ფრაქცია. ცხადია, ეს მისთვის საკმარისი არ არის. რომ აუჩემებიათ საქართველოსთვის სანქციების დაწესება, ქვეყანას რატომ უნდა დაუწესონ სანქციები? რუსეთში კონკრეტულ პირებს დაუდგინეს სანქციები. აქაც ასე იყოს – „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მოაყოლონ სანქციებში, ხალხი რა შუაშია? ჩვენ, „მემარცხენე ალიანსი“, ევროპის მომხრე პარტია ვართ. მიგვაჩნია, თუ სასჯელია, „ოცნების“ წევრებს დაუწესონ!

***— სააკაშვილი აცხადებს, რომ ხალხმაც ხელი უნდა გაანძრიოს, ის მარტო ვერაფერს იზამს. ისევ ტყუილად ჰპირდება მომხრეებს ჩამოსვლას?***

— სააკაშვილი პოლიტიკური თაღლითი და აფერისტია, იცის, რომ ისევ ვერ ჩამოვა, მგონი, მეთვრამეტედ და წინასწარ თავს იმართლებს. თვითონ თავს იმართლებს და ყველაფერს ხალხს აბრალებს. თურმე ხალხი პასიური ყოფილა. საქართველოს მოსახლეობისათვის ბევრჯერ მიუყენებია შეურაცხყოფა. მაგან და ბიძამისმა ალასანიამ ერთ-ერთ ჩანაწერში ქართველ ერს დედა აგინეს.

***— ბევრი ვარაუდობდა ნაციონალების რეიტინგის კლებას არათანმიმდევრული ნაბიჯების გამო. დაიკლებდა მისი რეალური რეიტინგი?***

— დაიკლებდა. მე ოპოზიციას ბოიკოტს არ ვურჩევდი. ნაციონალებმა ხალხს უთხრეს, ბოლომდე ვიბრძოლებთ, პარლამენტში არ შევალთ. ცოტა ხანში შევიდნენ. ასეთი ბევრი რამ გააკეთეს. ახლა მომხრეებს სააკაშვილის მოლოდინი გაუჩინეს. თუ სააკაშვილმა თავისი მომხრეები კიდევ ერთხელ გააწბილა, მისი და ნაციონალების ყოფნა პოლიტიკაში დამთავრებულია. თუ ხალხს ჰპირდება, ჩამოვიდეს და სასჯელიც მოიხადოს! თუ ახალაიამ, მერაბიშვილმა, ოქრუაშვილმა მოიხადეს სასჯელი, სააკაშვილიც ჩაჯდეს. თუ კიდევ ერთხელ დატოვებს ხახამშრალს საკუთარ ამომრჩეველს, 2024 წელს ნაციონალური მოძრაობა საარჩევნო ზღურბლსაც ვერ გადალახავს.

***— „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა მილევადი პარტიები არიან?***

— „ოცნება“, ფაქტობრივად, მილეულია. ნაციონალური მოძრაობაც გამოცდის წინაშე დგას. საქმე ისაა, რომ ჯერ არ ჩანს ის ძალა, რომელიც ხელისუფლებას გადაიბარებს. გიორგი ვაშაძემ ამ არჩევნების წინ მოიფიქრა კარგი სახელი – „მესამე ძალა“. სინამდვილეში, გიორგი არანაირი მესამე ძალა და ახალი ცენტრი არ არის. სახელწოდება ძალიან აქტუალურია. ხალხი მართლაც ელოდება მესამე ძალას. ამას კარგი დაფინანსება, რომელიმე ქართველი მილიონერის თანადგომა ესაჭიროება. სოლიდური დაფინანსების შემთხვევაში ხელისუფლების ჩამნაცვლებელი გააქტიურდება და მოვა ხელისუფლებაში.

***— კოალიციურად?***

— რასაკვირველია. ესენი უნდა იყვნენ სუფთა ადამიანები და არა ბნელი ნაციონალური მოძრაობა. როცა ბიძინა ივანიშვილი 2011 წელს შემოვიდა პოლიტიკაში, მანამ შემოიკრიბა დაახლოებით 6 პარტია, მათ შორის ისინი, ვინც გულზე არ ეხატებოდა, მაგალითად, რესპუბლიკელები. ახლაც აუცილებელია პარტიების გაერთიანება. ჩვენს შემთხვევაზე ვიტყვი. მოვიაზრებთ სამიოდე პარტიას, რომლებთანაც საერთო ინტერესი და მსგავსი იდეოლოგია გვაქვს. მათ არ დავასახელებ. შესაბამისი პირობების შექმნის შემთხვევაში ჩვენ შევძლებდით ამ ხელისუფლების ჩანაცვლებასა და კოალიციის შექმნას. იმედია, ხალხი გონს მოეგო და არც „ოცნებასა“ და არც ნაციონალებს ხმას არ მისცემს. ადგილობრივი არჩევნები არ ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლების შეცვლას. განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში ხდება ხოლმე, როცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ერთი ძალაა უმრავლესობაში, პარლამენტში კი – სხვა.

# „გახარიას კობახიძისგან მთელი ერი იცავს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გააუქმა, რომლის თანახმადაც ის, 43%-ის ვერაღების შემთხვევაში, ვადამდელ არჩევნებს ნიშნავდა, 43% ფსიქოლოგიურ ბარიერად მაინც რჩება: თუ ეს ვერ დაძლია, ასეთ შემთხვევაში მეორე ტურებში მისი წაგების ალბათობა იზრდება. განსაკუთრებით იმ მედროვეებში, რომლებიც ერთი ხელისუფლებიდან მეორეს ესტაფეტასავით გადაეცემა ხოლმე, ეს იქნება ნიშანი, გემი იძირება და თავს ვუშველოთო. ძალიან მყიფეა დღეს ის ფეხები, რომლებზეც „ოცნება“ დგას. 43%-ვერაღებული „ოცნებისთვის“ მეორე ტურების მოგება ძალიან რთული იქნება.

რაც შეეხება გახარიას ფაქტორს, ის ბევრისთვის არის მთავარი გადამზღვევი, ერთი მხრივ, ივანიშვილისთვის, რომელიც ნამდვილად არ აპირებს, რომ ვინმეს ჩაჰყვეს პოლიტიკურ სამარეში. ის არ თამაშობს ერთ საჭადრაკო დაფაზე. მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ გახარია მისი მეორე საჭადრაკო დაფა იყოს. შესაძლოა, მათ შორის შეთანხმება არ არის, მაგრამ გახარია ყოველი გამოსვლით ამ მზაობას გამოხატავს, რომ ის იქნება მისი გადამზღვევი და უსაფრთხოების გარანტორი.

***— ამიტომ არ აკრიტიკებს ბიძინას?***

— რა თქმა უნდა.

მეორე, გახარია არის დასავლეთის გადამზღვევი და ესეც ყველაფრიდან ჩანს. ინტერვიუს დასაწყისში აღვნიშნე, რომ დღეს ვითარება შეიცვალა და ოპოზიცია გახდა ცუდი დასავლეთისთვის და ხელისუფლება უარესი. ამაში მნიშვნელოვანი როლი გახარიამაც შეასრულა. გახარია დასავლეთის თვალში ის მექანიზმია, რომელიც ხელისუფლების შეცვლის პირობებში რევანშსაც წინ აღუდგება და გარკვეული სტაბილურობის გარანტიც იქნება.

***— დავიჯეროთ, არაფერი აქვთ გახარიას წინააღმდეგ? რატომ ვერ იჭერენ მას?***

— ჯერ ერთი, წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლება მთლად ყველა იმ ტოტს არ ჭრის, რომლებზეც ზის და არ მიდის ამ ნაბიჯზე. მეორეა ის, რომ ხელისუფლებას თუ აქვს, არანაკლები აქვს გახარიასაც: კომპრომატების ომი, რაც საჯარო სივრცეში ჩანს ერთია და მეორეა, რაც კულისებში მიმდინარეობს და ჩვენ არ ვიცით, რაც გაცილებით მძიმე იქნება. წარმოიდგინეთ, რაც არ გამოსულა გარეთ, იქ რა სურათი და ფონია.

***— მათ შორის არც იმას გამორიცხავთ, რომ ივანიშვილის წინააღმდეგაც ჰქონდეს კომპრომატები?***

— არ ვიცი ეს დეტალები, მაგრამ მას და მის დღევანდელ თანაპარტიელებს ნებისმიერ ინფორმაციაზე რომ მიუწვდებოდათ ხელი, ეს ხომ ცხადია! ალბათ არ იქნებოდა ხელშეუხებელი ფიგურა: ისეთი ამორალურობა ამოვიდა ზედაპირზე, რომ დარწმუნებული ვარ, ხელშეუხებელი და მოუსმენელი არავინ დარჩებოდა.

ამასთანავე, დასავლეთს სჭირდება გარანტია, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები აღარასდროს დაიძაბება 2008 წლის დონემდე. ამ თვალსაზრისითაც მას გარანტორად გახარია მიაჩნია და ის, შესაძლოა, მომავალ სახელისუფლებო კოალიციაში ერთგვარი რუსული კვოტაც კი იყოს, მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ ხელისუფლების ცვლილებები საქართველოში რუსეთისა და აშშ-ის გარეშე არასდროს მომხდარა.

გახარიასთან მიმართებით ოპოზიციის გულარხეინობაზე ძალიან მეცინება. ოპოზიციის უმრავლესობა გულხელდაკრეფილია და გახარიას ხელით ფიქრობს ნარის გლეჯას.

***— თავის საქმეს არ აკეთებს ოპოზიცია?***

— რომელ ოპოზიციას აქვს თავისი საარჩევნო კამპანია?! რასაც კლასიკური საარჩევნო კამპანია ჰქვია, იმას მხოლოდ და მხოლოდ გახარია აწარმოებს. ამ არჩევნებზე ხალხი გვერდზე დარჩა: მთავარი აქტორი, საქართველოს ამომრჩეველი, მათი პრობლემებითა და ინტერესებით გვერდზე მოტოვებული. რეალურად, საქართველო და ხალხი ცალკეა, ხოლო პოლიტიკური სპექტრი ძალაუფლებისთვის ბრძოლით – ცალკე.

რატომღაც ოპოზიციას ჰგონია, გახარია ხელისუფლების გაშვებაში მნიშვნელოვან როლს რომ ითამაშებს, მერე ნაალაფარი დანარჩენ ოპოზიციასაც გაუნაწილდება. თუ ჰგონიათ, რომ გახარია გაიწევა და ამათ ჩამოურიგებს ხელისუფლებას, ასე ნამდვილად არ იქნება. გასაგებია, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილის ფასი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ხელისუფლებებთან ვაჭრობს, გასაყიდი ობიექტია და რაღაც მომენტში ისინი გახარიასაც დასჭირდება, მაგრამ ის სერიოზულად შეავიწროებს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც თავად აქვთ ხელისუფლებაში ყოფნის ამბიცია. ახლა გახარიას უყურებენ, როგორც მთავარ კომბალს „ოცნების“ თავზე და ჰგონიათ, რომ მერე გახარიასაც იოლად გაუმკლავდებიან. სულ ტყუილად ჰგონიათ.

***— ვნახეთ სისხლიანი დაპირისპირება და გასაგებია მელიას რეაქცია კობახიძესთან მიმართებით, მაგრამ არ არის საგანგაშო თუნდაც იმ მხრივ, რომ ასეთი ე.წ. ძველბიჭური გარჩევები მასშტაბური გახდეს?***

— იმ პირობებში, როდესაც ბეწვის ხიდზე გადის საქართველოს მიმართ დასავლეთის ნდობისა და საქართველოს, როგორც პარტნიორის საჭიროების საკითხი, ამ შემთხვევაში მსგავსი ინციდენტები უკიდურესად საშიშია იმისათვის, რომ დასავლეთმა საერთოდ არ ჩაიქნიოს საქართველოზე ხელი. მან არ იფიქროს, რომ საქართველოს პოლიტიკურ ძალებს შორის დასაყრდენი აღარავინ არის და საერთოდ ხელი არ ჩაიქნიოს აქაურობაზე. მეორე, დასავლეთმა არ იფიქროს, რომ პროცესები მართლაც სამოქალაქო დაპირისპირების გზით მიექანება და მართლაც არ მიიღოს ასეთი სახე. აქედან გამომდინარე, ყველა მხარეს უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა მსგავსი ინციდენტების დროს.

ხელისუფლების გეგმა დროის გაყვანის ტაქტიკაცაა. ხელისუფლებაში ისიც თქვეს, მერე რა, გავლენ, 2 თვე იდებიან ქუჩაში და მორჩა. ამიტომ ოპოზიციას უნდა ჰქონდეს გეგმა, რომ „ოცნებამ“ ამ ტაქტიკით შედეგს არ მიაღწიოს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ვადამდელი არჩევნების დასანიშნად. სხვაგვარად ჩამოქცეულ სახელმწიფოზე პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც დაეკისრება. როდესაც შენი უუნარობით ახერხებს „ოცნება“ ხელისუფლების შენარჩუნებას, ეს შენი პასუხისმგებლობაცაა.

***— უნდა კი ოპოზიციას ვადამდელი არჩევნები?***

— ძალიან კარგი კითხვაა. 1 თვის წინ მქონდა ნათელი პასუხი, რომ ოპოზიციის მნიშვნელოვან ნაწილს არაფერში არ სჭირდება ვადამდელი არჩევნები. განსაკუთრებით საპარლამენტო ოპოზიციაზე ვსაუბრობდი, მათ შორის ნაცმოძრაობის დეპუტაციის ნაწილზეც. სუსის კადრების შემდეგ სიტუაცია შეცვლილია და „ოცნება“ საკმაოდ შეშფოთებულია თავისი 33%-ით. ცვლილებებისთვის არის პროცესი მომწიფებული, თუმცა, ვნახოთ, როგორ გამოიყენებს ოპოზიცია ამ შანსს.

***— სააკაშვილი ჩამოვა?***

— არ ვიცი. ბევრ რამეზეა დამოკიდებული. თუ დაინახა, რომ საზოგადოებაში ცვლილებებისთვის მზაობა არ არის, რისთვის უნდა ჩამოვიდეს?! პოლიტიკაში მსხვერპლშეწირვის აქტი შედეგზე უნდა იყოს გათვლილი.

***— კალაძემ შემოაგდო კოკაინის თემა და ცდილობს დისტანცირებას. გამოუვა ეს და, თუ „ოცნების“ გემი ჩაიძირა, ჩაჰყვება კალაძეც თუ უნდა ველოდოთ მის გასვლასაც?***

— მას რომ ჩაძირვის სურვილი არ ექნება, ცალსახაა, მაგრამ, რამდენად მისცემენ გადარჩენის საშუალებას თანაპარტიელები, ეს მეორეა. თუ გემმა ჩაძირვა დაიწყო, დრო არავის ექნება და ყველა საკუთარი თავის გადარჩენაზე იზრუნებს. ამ პროცესში ვიღაცები ეცდებიან თუ არა კალაძეზე ხელის შეხოცვასა და ამ გზით თავის გადარჩენას, მომავალი გვიჩვენებს. ეს არის გაუთვლელი პროცესი, რომლის პროგნოზირება რთულია, თუმცა, სადაც ამდენი წელი გადარჩა კალაძე დაუნდობელ შიდაომებში, ვფიქრობ, „ოცნების“ გემის ჩაძირვის შემთხვევაშიც მონახავს თავისთვის მომგებიან გამოსავალს.

# ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის შემდეგ აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე ბაზრობაზე საყიდლებზე წავიდნენ




„ნოდარ მელაძის შაბათის“ ინფორმაციით, თბილისში 22 წლის ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის შემდეგ ორივე თავდამსხმელი, აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე, სადგურში ბაზრობაზე, საყიდლებზე წავიდნენ.

მკვლელობის შემდეგ პოლიციამ მოქმედება იქამდე არ დაიწყო, სანამ 22 წლის მამაკაცის მკვლელობაში ბრალდებულებმა ქვეყნის საზღვარი არ დატოვეს.

მკვლელობაში ბრალდებულები პოლიციას შემთხვევიდან 10 წუთში უკვე იდენტიფიცირებული ჰყავდა. მეტიც, ერთ-ერთი ვერსიით, კავილაძე ვაგზლის ბაზრობაზე მამასთან, კონსტანტინე კავილაძესთან მივიდა და ფული გამოართვა. კონსტანტინე კავილაძე ბაზრობის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ საწარმოში 12%-იან წილს ფლობს.

აკაკი ჭელიძესა და გიორგი კავილაძეზე ახლა ძებნაა გამოცხადებული, თუმცა ამ საქმეში ბურუსით არის მოცული დანაშაულის მოტივი — რატომ მოკლეს ნიკო. მკვლელობაში ბრალდებულები ნიკოს არ იცნობდნენ და ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან.

გავრცელებული ინფორმაციით, ნიკო კვარაცხელიას მკვლელობა გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტის დავით კაკულიას შვილებმა დათი და გუგა კაკულიებმა დაუკვეთეს. მოტივი კი 20 წლის წინ რუსეთში კაკულიებსა და ნიკოს მამას შორის დაწყებული დაპირისპირება გახდა, რაც კანონიერი ქურდის, დავით კაკულიას, მკვლელობით დასრულდა.

ეს ვერსია ოჯახმა გამორიცხა. კვარაცხელიები ადასტურებენ, რომ ორ კანონიერ ქურდს შორის დაპირისპირება იყო, თუმცა შემდეგ ურთიერთობა დაალაგეს და საბოლოოდ, მოკლული ნიკოს მამამ, გია კვარაცხელიამ, დავით კაკულიას შვილიც მონათლა.

„ტვ პირველის“ ინფორმაციით, გუგა კაკულია თავადაც კანონიერ ქურდობას აპირებს. მას ამ სტატუსის მინიჭებას ქურდულ შეკრებაზე დაჰპირდნენ. უმცროსმა კაკულიამ ჩათვალა, რომ ქურდულ სტატუსს იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ მის ნათლიაზე შურს იძიებდა. გუგა კაკულიამ შურისძიება თავად გადაწყვიტა, თუმცა მან საქართველოში შემოსვლა ვერ მოახერხა, ამიტომ მკვლელობის ორგანიზებაში კონკრეტული პირობებით ახლო მეგობრები, აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე, ჩართო.

დათი და გუგა კაკულიების შესახებ მათ ოჯახს საუბარი არ უნდა. მკვლელობის ორგანიზებაში დადანაშაულებული ძმები წლების განმავლობაში მოსკოვში ბოლოს კი სომხეთში ცხოვრობდნენ, თუმცა ერევნის დატოვება რამდენიმე კვირის წინ მას შემდეგ მოუწიათ, რაც ერთ-ერთ გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტის შვილი სასიკვდილოდ დაჭრეს.

სად იმყოფებიან ახლა კაკულიები, უცნობია, თუმცა მათი კრიმინალური წარსულისა და ისტორიების შესახებ ბევრი იციან თბილისში.

# დედა-შვილის მკვლელობისთვის ოჯახი ომარ ბაციკაძის დასჯას ითხოვს



ვინ ჩაცხრილა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ტახტისძირში დედა-შვილი 4 წლის წინ, ისევ დაუდგენელია. შსს-მ მომხდარზე ერთი პირი, ომარ ბაციკაძე დააკავა, თუმცა გამოძიება მას ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებოდა.

მოკლულის ოჯახის წევრები საქმის სტრასბურში გაგზავნას აპირებენ, თუმცა უკვე სამ თვეზე მეტია, გაურკვეველი მიზეზით, პროკურატურა მათ საქმის მასალების გადაცემაზე უარს ეუბნება.

ოჯახი და მათი ადვოკატი ფიქრობენ, რომ დამნაშავეს, ომარ ბაციკაძეს, ხელს აფარებენ.

— როგორც ჩანს, პროკურატურასთან, არ ვიცი თანხა შესთავაზეს, თუ მოიძიეს ისეთი ადამიანები, რომ გადაერჩინათ ეს ადამიანი, იმის მაგივრად, რომ მისთვის მკვლელობაზე წაეყენებინათ ბრალი, წაუყენეს იარაღის ტარებაზე, — ამბობს მოკლულის ოჯახის წევრი.

დედა-შვილის, 66 წლის ნაზი ჯალაბაძის და 31 წლის მერი ჯაფიაშვილის ცხედრები მეზობლებმა იპოვეს. ორივეს თავში ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰქონდა ნასროლი. დედა-შვილი ნაცემები იყვნენ, სავარაუდოდ, გასროლამდე მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ. სახლში ქურდობის კვალი არ აღმოჩნდა.

მკვლელობა 11 ივნისს მოხდა, 12-ში კი მეზობელმა ჯაფიაშვილების სახლიდან მაღალ ხმაზე ჩართული ტელევიზორის ხმა გაიგო, რომელიც იმავე საღამოს აღარ ისმოდა. მოწმე იხსენებს, რომ ცხედრების აღმოჩენისას ტელევიზორი გამორთული არ იყო, მაგრამ ხმა ბოლომდე ჰქონდა ჩაწეული, რაც აფიქრებინებთ, რომ დამნაშავე სახლში მკვლელობის შემდეგ კიდევ დაბრუნდა, ტელევიზორს ჩაუწია, წაშალა კვალი და ოთახი დაალაგა, ამისთვის მას 48 საათი ჰქონდა.

შემთხვევის ადგილზე ომარ ბაციკაძის დნმ ან თითის ანაბეჭდები არ არის აღმოჩენილი. ასევე მისი შემხებლობა არ დასტურდება ნაპოვნ იარაღთან ან მასრებთან.

# ადვოკატი: „დავით დაუთაშვილმა საკანში თვითდაზიანების მიყენება ცადა“

დმანისში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების დაჭრის ფაქტზე ბრალდებულ დავით დაუთაშვილის ადვოკატის ინფორმაციით, დაუთაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის დასადგენად ექსპერტიზა დაინიშნა.

როგორც ადვოკატმა გია მაჩიტაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, საქმეში არსებობს ძალიან ბევრი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ დავით დაუთაშვილი არის ფსიქიკურად დაავადებული. მისივე თქმით, ბრალდებული დროებითი მოთავსების იზოლატორში სპეციალური დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა და თვითდაზიანებების მიყენება ცადა.

— ბოლო ერთი წლის განმავლობაში არც ერთი წელი არ იყო, რომ არ გაევლო მკურნალობა შესაბამის დაწესებულებაში. იზოლატორშიც სპეციალურ კამერაში იყო მოთავსებული და 24 საათიანი ზედამხედველობა ჰქონდა ადმინისტრაციას.

მან ცადა თვითდაზიანებების მიყენება და, რომ არა თანამშრომლები, ალბათ მიიყენებდა. საქმე გვაქვს ასეთ პიროვნებასთან, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს ექსპერტიზა. ბრალდების მხარემ უკვე დანიშნა ექსპერტიზა, რამდენიმე დღეში ის გადაყვანილი იქნება შესაბამის დაწესებულებაში და ყველა იმ კითხვას გაეცემა პასუხი, დანაშაულის ჩადენის მომენტში როგორ ფსიქიკურ მდგომარეობაში იყო, — აღნიშნა გია მაჩიტაძემ.

დმანისში ნაციონალური მოძრაობის 2 მხარდამჭერის დაჭრის ფაქტზე დაუთაშვილს ბრალდება 23 სექტემბერს წარედგინა. გამოძიებით დადგინდა, რომ სოფელ განთიადში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრისას წარმოშობილი კონფლიქტის დროს, დავით დაუთაშვილმა დანის გამოყენებით, პოლიტიკური მოტივით, ორ პირს ჭრილობები მიაყენა.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი პირის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 13– წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ხატია დეკანოიძე: „ჩემი და ისრაელის საელჩოს წარმომადგენლის საუბრის ნამდვილობა დავადასტურე“



ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით 25 სექტემბერს პროკურატურაში ქუთაისში ოპოზიციის ნაწილის მერობის კანდიდატი ხატია დეკანოიძე გამოკითხეს.

როგორც ხატია დეკანოიძე აღნიშნავს, მან გამოძიებას დაუდასტურა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მასზე ფარულ თვალთვალსა და მიყურადებას ახორციელებს.

— დავადასტურე იმ ჩანაწერის ავთენტურობა, რომელიც ეხებოდა ისრაელის საელჩოს წარმომადგენელსა და ჩემ შორის საუბრის ჩანაწერს, როდესაც ისრაელის ელჩთან იყო შეხვედრა დაგეგმილი, მათ შორის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. მე გამოძიებას დავუდასტურე ჩემი არა მხოლოდ გონივრული ეჭვი, არამედ რეალურად სხვადასხვა ფაქტებით გამყარებული ეჭვი, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებს ჩემზე ფარულ თვალთვალსა და მიყურადებას, — აღნიშნა დეკანოიძემ.

ინტერნეტსივრცეში გავრცელდა მასალები, რომლებიც, სავარაუდოდ, სუსის მიერ ფარული მიყურადების გზით პოლიტიკოსების, სასულიერო პირებისა და ჟურნალისტების მოსმენასა და თვალთვალს უკავშირდება.

# „ქურდული სამყაროს“ წევრობაში ბრალდებულ პირებს 8 და 10 წლით პატიმრობა მიესაჯათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და „კანონიერ ქურდობასა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრობაში ბრალდებულები რ.გ. და კ.ქ. დამნაშავედ ცნო.

პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2020 წლის ნოემბერში, საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდის“ რ.გ.-ს დავალებით, „ქურდული სამყაროს“ წევრმა კ.ქ.-მ, სამეგრელოს რეგიონში, ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელს „ქურდული გარჩევა“ მოუწყო, რა დროსაც „კანონიერი ქურდი“ რ.გ. საკომუნიკაციო საშუალებით პირადად ესაუბრა ბიზნესმენს, „ქურდული სამყაროს წესების“ შესაბამისად, თანხის გადახდა დააკისრა და საწარმოს წილში ჩასმა მოსთხოვა.

როგორც უწყებაში აღნიშნავენ, სამართალდამცველებმა კ.ქ. 2020 წლის 28 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2231-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც „ქურდული სამყაროს“ წევრობას გულისხმობს. რ.გ.-ს ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2231-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც „კანონიერ ქურდობას“ გულისხმობს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ რ.გ. და კ.ქ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და რ.გ.-ს სასჯელის სახით — 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო კ.ქ.-ს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# თუშეთიდან მოქალაქეთა უსაფრთხოდ გამოყვანისთვის სპეციალური ღონისძიება ჩატარდა



შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენებით, მინისტრ ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, ომალოდან მოქალაქეთა უსაფრთხოდ გამოყვანის სპეციალური ღონისძიება მიმდინარეობს.

25 სექტემბერს ფშაველი-აბანო-ომალოს დამაკავშირებელ გზაზე უხვი ნალექის მოსვლის შედეგად თუშეთთან დამაკავშირებელი გზა დაზიანდა. ომალოსა და მის მიმდებარე სოფლებში მყოფი საქართველოსა და ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების თელავში ჩამოყვანის მიზნით პროცესში სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლები გუშინ დილიდან სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენების დახმარებით ჩაერთვნენ.

ორი ვერტმფრენის მიერ უკვე განხორციელდა ფრენები, რის შედეგადაც თუშეთიდან 50-მდე პირის, მათ შორის ტურისტების თელავში უსაფრთხოდ გადმოყვანა განხორციელდა.

# მარნეულში 80 წლის ქალი დააყაჩაღეს, ფული და ოქრო წაართვეს

მარნეულში 24 სექტემბერს, გვიან ღამით, შულავერის დასახლებაში, 80 წლის ქალს 3 მძარცველი სახლში შეუვარდა, გაკოჭა და ცივი იარაღის მუქარით ფული და ოქროულობა წაიღო.

ქალი სახლში მარტო ცხოვრობდა. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

ფაქტზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო. ჯერჯერობით დაკავებული არავინაა.

# მძიმე ავარია ჭოგნართან
## 8 თვის ბავშვი დაიღუპა

25 სექტემბერს იმერეთში, სოფელ ჭოგნართან მომხდარ ავარიას ავარიას 8 თვის ბავშვი ემსხვერპლა. ავტომობილს, რომელშიც დედა მცირეწლოვან შვილებთან ერთად იჯდა, მაღალი სიჩქარით მოძრავი მანქანა დაეჯახა.

მძიმედ დაშავდა გარდაცვლილის დედაც. ის ყბა-სახის ტრავმებით რეფერალურ კლინიკაში გადის მკურნალობას. მეორე შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება.

# შსს-ს მიმართ ცრუ ინფორმაციის გავრცელება პოლიციის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას ემსახურება

შსს-მ განცხადება გაავრცელა:

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გასულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები თითქოს პარტიული მითითებით წინასაარჩევნოდ საქართველოს რეგიონებში იმყოფებიან. აღნიშნული ინფორმაცია არის „ფეიკნიუსი“ და არ შეესაბამება სიმართლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო არის პოლიტიკურად ნეიტრალური უწყება და მედიასაშუალების მხრიდან მსგავსი ცრუ ინფორმაციის გავრცელება ემსახურება პოლიციის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის მასშტაბით მართლწესრიგის დაცვა და არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა“.

# კაფე „სკარპას“ მფლობელსა და მიმტანს პატიმრობა შეეფარდათ

კაფე „სკარპას“ მფლობელსა და მიმტანს პატიმრობა შეეფარდათ. ორივე დაკავებულს ბრალი თანხების თაღლითური გზით დაუფლებისა და ქურდობის მუხლებით აქვს წარდგენილი.

გამოძიების ინფორმაციით, კლუბის მფლობელის დავალებით, მომსახურე პერსონალი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განსხვავებულ მენიუს და გაზრდილ ტარიფებს აწესებდა. შედეგად, ისინი არარეალურად მაღალ თანხას იხდიდნენ. მაგალითად, საქმეში არის ეპიზოდი, როდესაც ნასვამ ჩინელ ტურისტს ანგარიშიდან 15.000 ლარი ჩამოაჭრეს.

# გურიაში ავარიაში 15 წლის მოზარდი დაიღუპა



გუშინ, 26 სექტემბერს, გურიაში, ოზურგეთი-ჩოხატაურის ცენტრალურ გზაზე, ავტოსაგზაო შემთხვევას 15 წლის ბიჭი ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, მოზარდი მიკროავტობუსიდან ჩამოვიდა და სახლში მიდიოდა, რა დროსაც საპირისპირო მხრიდან მოძრავი მიკროავტობუსი დაეჯახა. ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ჯგუფს მოზარდი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

# თიანეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

თიანეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1995 წელს დაბადებული ბ.ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა 1959 წელს დაბადებულ კ.ჩ.– ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ავარია ქუთაისში — 8 ადამიანი დაშავდა

26 სექტემბერს ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 8 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 2 არასრულწლოვანია.

ისინი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

შემთხვევა რიონის დასახლებაში მოხდა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# ისრაელის არმიის იერიშების შედეგად 4 პალესტინელია მოკლული

სულ მცირე, 4 პალესტინელი დაიღუპა ისრაელის არმიის მიერ კვირას ღამით განხორციელებული სამხედრო იერიშების დროს ჯენინსა და იერუსალიმში.



პალესტინის ჯანდაცვის სამინისტროს სპიკერმა ფაქტი დაადასტურა. უწყებაში აცხადებენ, რომ არსებობს ინფორმაცია მეხუთე პალესტინელის დაღუპვის შესახებ, მაგრამ მათ ჯერ არ მიუღიათ დადასტურება.

ისრაელის ძალებმა ალყა შემოარტყეს ერთ-ერთ სახლს, რამაც დაპირისპირება გამოიწვია.

დაჭრილია ისრაელის 2 ჯარისკაცი.

ოპერაცია მიზნად „ჰამასის“ წევრების დაკავებას ისახავდა.

# კრემლი თურქეთს გაუნაწყენდა

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ ოფიციალური ანკარა ყირიმის ანექსიის აღიარებას არ აპირებს. პარალელურად, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ თურქეთი ყირიმის ანექსიას არ ცნობს.

მოსკოვის საპასუხო ნაბიჯმაც არ დააყოვნა. სპეციალურმა კომისიამ თურქეთის ტომატებსა და ხიზილალებში მიკრობები „აღმოაჩინა“ და ისინი დაიწუნა.

# ესპანეთში ლა პალმას აეროპორტი დროებით დაიხურა

კანარის კუნძულ ლა პალმაზე აეროპორტი დროებით დაიხურა. მიზეზად ვულკანის ამოფრქვევისას ჰაერში გაფანტული ფერფლი სახელდება. ადგილობრივი ხელისუფლება კი მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს.



ესპანეთის მთავრობა კანარის კუნძულებს უბედურების ზონად გამოაცხადებს. არსებობს ცუნამის საფრთხე.

სტიქიის ზონებიდან 7 ათასი ადამიანია ევაკუირებული.

# ისრაელში აუცრელ პედაგოგებს სკოლებში აღარ შეუშვებენ

ამერიკელებს კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მე-3 დოზის გაკეთების შესაძლებლობა ექნებათ.

ე.წ. ბუსტერ დოზის გაკეთება რეკომენდებულია როგორც 65 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის, ისე 50-დან 64 წლამდე პირებისთვის, რომელთაც მძიმე ქრონიკული დაავადებები აღენიშნებათ.



თვის ბოლოდან ვაქცინის მე-3 დოზა ყველა სრულად ვაქცინირებულისთვის იქნება ხელმისაწვდომი რუმინეთშიც.

რეგულაციებს ამკაცრებს ისრაელი, სადაც მწვანე საშვის გარეშე მასწავლებლებს სკოლებში არ შეუშვებენ, პედაგოგები გაკვეთილების ჩატარებას ვერც დისტანციურად შეძლებენ.

1 ნოემბრიდან გერმანიაში არავაქცინირებულ კარანტინში მყოფ დასაქმებულ პირებს ხელფასს აღარ გადაუხდიან.

ევროკავშირმა უსაფრთხო ქვეყნების სიიდან მოლდოვა და ბოსნია-ჰერცეგოვინა ამოიღო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სპორტი

# დინამოები დიდი ანგარიშებით იგებენ

**დინამო (ბთ)-სამგურალი 3:0**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 ჯიღაური (44), 2:0 მამუჩაშვილი (52), 3:0 ალთუნაშვილი (63)



**დინამო:** კუპატაძე, აზაროვი (ნავალოვსკი 80), აზაცკი, მ.კობახიძე, ჩაბრაძე, ტეიდი (მანჯგალაძე 67), ჯიღაური, მამუჩაშვილი (თ.გაფრინდაშვილი 71), ალთუნაშვილი, ფლამარიონი (გროზურეკი 67), ფანცულაია

**სამგურალი:** ქვილითაია, პატარკაციშვილი, ქურდაძე, ბურჯანაძე (გ.თევზაძე 66), ტურე (ჩიხლაძე 46), ფონიავა (ახვლედიანი 72), ლექვთაძე, კიკაბიძე, კუხიანიძე (ამინუ 72), კალანდარიშვილი, ა.ვერულიძე (დოლიძე 66)

**გაძევება:** კალანდარიშვილი (70)

ეროვნული ლიგის ლიდერებმა საკუთარ არენაზე წყალტუბოს სამგურალს უმასპინძლეს და მეტოქე 3:0 დაამარცხეს. გია გეგუჩაძის გუნდი პრაქტიკულად მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა სათამაშო უპირატესობას.

შეხვედრის 43-ე წუთზე ანგარიში ჯამბულ ჯიღაურმა გახსნა. 51-ე წუთზე უპირატესობა ორამდე ვლადიმერ მამუჩაშვილმა გაზარდა. საბოლოო შედეგი კი 63-ე წუთზე გიორგი ალთუნაშვილმა დააფიქსირა.

ზღვისპირელებმა მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს და სატურნირო ცხრილს 56 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობენ. მთავარ კონკურენტს ბათუმელები 5 ქულით უსწრებენ.

**დინამო (თბ)-სამტრედია 5:1**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 მარუშიჩი (17), 1:1 არაბიძე (22), 2:1 სხირტლაძე (57), 3:1 ბენიო (59), 4:1 რადინი (72), 5:1 მოისწრაფიშვილი (79)

**დინამო:** პრიეტო, ბენიო, პაპავა, ხვადაგიანი (კობოური 75), ქარდავა (მექვაბიშვილი 46), რადინი (კუცია 75), სპორკსლედე, მორჩილაძე, სხირტლაძე (ქავთარაძე 81), ბარნსი (მოისწრაფიშვილი 75), მარუშიჩი

**სამტრედია:** ქურდაძე, გ.მჭედლიშვილი, ასათიანი, გიორგაძე, ახალაძე (კამლაძე 66), კვირკვია, ენდელაძე (მესიაჩენკო 76), პავიშიჩი (რობაქიძე 76), არაბიძე, ლომთაძე (გადრანი 52), პრელჩეცი (ო.კობახიძე 66)

**გაძევება:** მჭედლიშვილი (48)

თბილისის დინამომ ზედიზედ მე-2 მატჩი მოიგო 4-ბურთიანი უპირატესობით. კახაბერ ცხადაძის გუნდი მაჩანჩალა სამტრედიას საკუთარ მოედანზე დაუხვდა და ანგარიშით 5:1 დაამარცხა.

მასპინძელთა მხრიდან გოლები ზორან მარუშიჩმა, დავით სხირტლაძემ, საიმონ ბენიომ, მილან რადინმა და გიორგი მოისწრაფიშვილმა გაიტანეს. სტუმართაგან ანგარიში შეხვედრის 22-ე წუთზე ეფექტური დარტყმით გიორგი არაბიძემ გაათანაბრა.

26 ტურის შემდეგ დინამო თბილისს 51 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილის მეორე პოზიციაზეა, სამტრედია კი 16 ქულით ბოლო ადგილს იკავებს.

**საბურთალო-შუქურა 2:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 ტაბატაძე (10პ), 2:0 შულაია (84), 2:1 ინგოროყვა (90)

**საბურთალო:** გოშაძე, მალი (ჩაჩუა 84), ჯგერენაია, კაკუბავა, შ.ნონიკაშვილი, ი.ტაბატაძე, ლ.ნონიკაშვილი, ცნობილაძე (ძებნიაური 71), გოჩოლეიშვილი (გულიაშვილი 84), სეფერინგსი (მანდრიჩენკო 71), კოხრეიძე (შულაია 63)

**შუქურა:** თებიძე, ჭანტურია, კომახიძე (კვარაცხელია 84), გ.გაფრინდაშვილი, ვარშანიძე, ხმალაძე, სარდალიშვილი (ინგოროყვა 63), კაკაშვილი (ბ.ვერულიძე 84), სპიჩკა, ჯერალდო, მუსელიანი

ამ გამარჯვებით თბილისელებმა გათამაშების ცხრილის ზედა ნაწილში ადგილი შეინარჩუნეს. ისიც უნდა ითქვას, რომ წლეულს დედაქალაქელებმა პირველად მოახერხეს ზღვისპირელების დამარცხება – წინა ორი მატჩი ფრედ დასრულდა.

მატჩი მასპინძლებმა დაიწყეს აქტიურად და ნიკოლოზ მალის მიერ მოპოვებული თერთმეტმეტრიანი გოლად ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა იური ტაბატაძემ აქცია.

მე-2 ტაიმის ბოლო აკაკი შულაიამ ჯარიმა მოულოდნელად კარში დაარტყა და საბურთალო კიდევ უფრო დააწინაურა.

სტუმრებმა რაც მოახერხეს, პრესტიჟის გოლის გატანა იყო – მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ლევან ინგოროყვამ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**ტორპედო-ლოკომოტივი 0:1**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 სიხარულიძე (41)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ვ.ტაბატაძე (ჩარგეიშვილი 85), ნადარაია, ძარია (წოწონავა 63), ზიდანი, ბუკასი (ფირანაშვილი 63), მუდიმუ, ცინცაძე (რეკიში 77), თ.ახვლედიანი (პარაგულგოვი 77), კარაგუნისი, ჩაკვეტაძე

**ლოკომოტივი:** სპენკელინკი, დარცმელია, სიხარულიძე, სამურკასოვი (დიასამიძე 68), გავაშელიშვილი (კახაბრიშვილი 68), იმრანი, შონია, თ.კირკიტაძე (ანდრონიკაშვილი 63), გაბაძე, ქველაძე (რ.მჭედლიშვილი 63), უბილავა

**გაძევება:** მჭედლიშვილი (88)

ლოკომოტივმა 3-მატჩიანი მოუგებელი სერია ქუთაისში დაასრულა. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა ტორპედოს მინიმალური ანგარიშით მოუგო და აქტივში 3 ქულა მიითვალა.

სტუმრებმა ერთადერთი და გამარჯვების მომტანი გოლი შეხვედრის პირველ ნახევარში გაიტანეს. 41-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ ლამაზი დარტყმით აიღო როინ კვასხვაძის კარი.

**თელავი-დილა 0:2**

**თელავი. კავკასიონი არენა**

0:1 მოსიაშვილი (45), 0:2 კამარა (68)

**თელავი:** სანიკიძე, ც.კაპანაძე, მარაქველიძე (შერგელაშვილი 60), რუხაძე, აშორტია (ჩოგაძე 46), ჯიქია (არდაზიშვილი 76), ჟუნიორი (შეყილაძე 60), ფაცაცია (ჯანელიძე 46), ძოწენიძე, თოლორდავა, ჩუკვურა

**დილა:** გუგეშაშვილი, ნემსაძე, ჭიჭინაძე, მოსიაშვილი, ღუდუშაური (ალიმბარაშვილი 90), ნონდი, სანტოსი, გაგნიძე, სილვა, კამარა, მადინგა (კოუგბენია 84)

3-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა გორის დილამაც, რომელიც სტუმრად თელავს დაუპირისპირდა და მეტოქე 2:0 დაამარცხა. თელავმა კი ეროვნულ ლიგაში ზედიზედ მე-3 თამაში წააგო.

პირველი ტაიმის კომპენსირებულ დროში ცოტნე მოსიაშვილმა ანგარიში უსმანე კამარას საგოლე პასით გახსნა, 68-ე წუთზე კი გორელთა უპირატესობა თავად უსმანე კამარამ უკვე მოსიაშვილის საგოლე გადაცემით ორამდე გაზარდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 26 | 16 | 8 | 2 | 54-20 | 56 |
| 2.დინამო (თბ) | 26 | 16 | 3 | 7 | 43-20 | 51 |
| 3.საბურთალო | 26 | 11 | 10 | 5 | 37-26 | 43 |
| 4.დილა | 26 | 12 | 7 | 7 | 29-23 | 43 |
| 5.ლოკომოტივი | 26 | 12 | 4 | 10 | 43-43 | 40 |
| 6.სამგურალი | 26 | 8 | 10 | 8 | 28-31 | 34 |
| 7.ტორპედო | 26 | 5 | 10 | 11 | 23-32 | 25 |
| 8.თელავი | 26 | 6 | 7 | 13 | 21-38 | 25 |
| 9.შუქურა | 26 | 4 | 9 | 13 | 20-37 | 21 |
| 10.სამტრედია | 26 | 4 | 4 | 18 | 25-53 | 16 |

# ქართული ოლიმპიური ლიცენზიები ფიგურულ ციგურაობაში

ფიგურულ ციგურაობაში პეკინის 2022 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბოლო საგზურები ობერსდორფში, ჩელენჯერის სერიის ტურნირზე თამაშდებოდა.




საქართველო წყვილებსა და სპორტულ ცეკვებში იყო წარმოდგენილი. წყვილებში ოლიმპიური საგზურის მისაღებად საჭირო იყო საუკეთესო სამეულში მოხვედრა, რაც კარინა საფინასა და ლუკა ბერულავას წყვილმა შეძლო კიდეც, სპორტულ ცეკვებში კი ოლიმპიური ლიცენზიებისთვის ოთხეულში მოსახვედრად მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას დუეტმა წარმატებით შეასრულა დავალება.

წყვილებში საქართველოს წარმომადგენლები ბელარუს, ჩინელ და ესპანელ წყვილებთან ერთად ობერსდორფის ტურნირის ფავორიტებს შორის იყვნენ, რაც მოკლე პროგრამაშივე გამოჩნდა კიდეც. საფინა-ბერულავას წყვილი მოკლე პროგრამაში 66.46 ქულით საუკეთესო იყო, ხოლო თავისუფალ პროგრამაში 111.70 ქულით – მე-3. ორივე პროგრამის ჯამში ჩვენმა მოციგურავეებმა 178.16 ქულა დაიმსახურეს და მე-3 ადგილით ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვეს.

20 წლის კაზაკოვა და 22 წლის რევია მოკლე პროგრამის შემდეგ 66.95 ქულით მე-5 ადგილზე იყვნენ. თავისუფალ ცეკვაში კი ჩვენმა წარმომადგენლებმა მე-2 შედეგი (106.25 ქულა) აჩვენეს და ჯამში (173.20 ქულა) მესამე ადგილი დაიკავეს.

შეგახსენებთ, მანამდე ლიცენზიები კაცთა შორის მორის ყვითელაშვილმა და ქალებში ალინა ურუშაძემ მოიპოვეს. შედეგად, ისტორიაში პირველად საქართველო ოლიმპიური თამაშებზე ფიგურული სრიალის 4-ვე კატეგორიაში წარდგება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# სოლსკიაერი: „ასტონ ვილასთან ცუდი შეხვედრა ჩავატარეთ“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ასტონ ვილასთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ცუდად ითამაშა, მაგრამ ისინი წაგებას მაინც არ იმსახურებდნენ:

– მეტოქემ სწორი ტაქტიკა აირჩია და ამის გამო მომენტების შექმნა გვიჭირდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ წაგებას არ ვიმსახურებდით. ამ შეხვედრიდან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

# მესიმ ვარჯიში განაახლა

პსჟ-ს არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი მცირე ტრავმის შემდეგ ვარჯიშს დაუბრუნდა და ის შემდეგი მატჩისთვის სათამაშოდ მზად იქნება. ეს შეხვედრა კი პსჟ-ს ჩემპიონთა ლიგაში აქვს მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ და მესის თამაში ნამდვილად მნიშვნელოვანი იქნება.




ჯერჯერობით მესიმ პსჟ-ს შემადგენლობაში მხოლოდ 3 შეხვედრა ჩაატარა და გოლის გატანა ვერ შეძლო.

# ანსუ ფატი გოლით დაბრუნდა




ბარსელონის ახალგაზრდა ფორვარდი ანსუ ფატი 10-თვიანი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა და ლევანტეს კარში გოლის გატანაც შეძლო.

ფატიმ ეს საკმაოდ ლამაზად, შორეული დარტყმით გააკეთა და ყველას დაანახა, რომ ტრავმას მის პოტენციალზე არ უმოქმედია.

ფატი მოედანზე მე-80 წუთზე გამოვიდა. სავარაუდოდ, შემდეგ შეხვედრას ის სასტარტო შემადგენლობაში დაიწყებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## საზოგადოება

# ნინო ჩხეიძე იუთუბმა დააჯილდოვა



მომღერალ ნინო ჩხეიძეს იუთუბმა ვერცხლის ჯილდო მიანიჭა. ის არის ერთადერთი ქართველი მომღერალი საქართველოში, რომელმაც ეს ჯილდო მიიღო.

ნინო ჩხეიძე იუთუბის არხს რამდენიმე წელია, შეუერთდა. ის ოფიციალური არტისტია, რომელსაც ჩართული აქვს მონეტარიზაცია და მინიჭებული აქვს ნოტა.

იუთუბის არხზე მომღერალს 100 ათასი გამომწერი ჰყავს. სწორედ ამიტომ მან ვერცხლის ჯილდო მიიღო, მილიონ გამომწერზე კი ნინო ჩხეიძეს ოქროს მონეტას მიანიჭებენ.

# დოლჩე და გაბანას ჩვენებაზე ლიზა კობერიძის დებიუტი შედგა



ცნობილი ბრენდის დოლჩე და გაბანას 2022 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის ჩვენებაზე 16 წლის ქართველი მოდელის ლიზა კობერიძის დებიუტი შედგა.

მილანის მოდის კვირეულზე ლიზამ დიზაინერების უახლესი ფერადი კოლექცია წარმოადგინა. ლიზა სამოდელო სააგენტო „ნატალის“ მოდელია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## 25 სექტემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ასტონ ვილა ................ 0:1
ჩელსი-სიტი ................ 0:1
ლესტერი-ბარნლი ................ 2:2
ლიდსი-ვესტ ჰემი ................ 1:2
უოტფორდი-ნიუკასლი ................ 1:1
ევერტონი-ნორვიჩი ................ 2:0
ბრენტფორდი-ლივერპული ................ 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 6 | 4 | 2 | 0 | 15-4 | 14 |
| 2.სიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-1 | 13 |
| 3.ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-2 | 13 |
| 4.მანჩესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-5 | 13 |
| 5.ევერტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 13 |
| 6.ბრაიტონი | 5 | 4 | 0 | 1 | 7-4 | 12 |
| 7.ვესტ ჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-8 | 11 |
| 8.ასტონ ვილა | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| 9.ბრენტფორდი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-5 | 9 |
| 10.ტოტენჰემი | 5 | 3 | 0 | 2 | 3-6 | 9 |
| 11.უოტფორდი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 12.ლესტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 13.არსენალი | 5 | 2 | 0 | 3 | 2-9 | 6 |
| 14.კრ.პალასი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 15.საუთჰემპტონი | 5 | 0 | 4 | 1 | 4-6 | 4 |
| 16.ვულვზი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-5 | 3 |
| 17.ნიუკასლი | 6 | 0 | 3 | 3 | 7-14 | 3 |
| 18.ლიდსი | 6 | 0 | 3 | 3 | 6-14 | 3 |
| 19.ბარნლი | 6 | 0 | 2 | 4 | 5-11 | 2 |
| 20.ნორვიჩი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-16 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

რედინგი-მიდლსბრო ................ 1:0
ბირმინგემი-პრესტონი ................ 0:0
ბლექბერნი-კარდიფი ................ 5:1
ბლექპული-ბარნსლი ................ 1:0
ბორნმუთი-ლუთონი ................ 2:1
ბრისტოლი-ფულემი ................ 1:1
ნოტინგემი-მილუოლი ................ 1:1
სტოკი-ჰალი ................ 2:0
სუონსი-ჰადერსფილდი ................ 1:0
შეფილდი-დერბი ................ 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-კიოლნი ................ 1:1
ლევერკუზენი-მაინცი ................ 1:0
ლაიფციგი-ჰერტა ................ 6:0
უნიონი-არმინია ................ 1:0
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი ................ 3:1
გლადბახი-დორტმუნდი ................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 23-5 | 16 |
| 2.ლევერკუზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 16-7 | 13 |
| 3.ვოლფსბურგი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-5 | 13 |
| 4.დორტმუნდი | 6 | 4 | 0 | 2 | 17-12 | 12 |
| 5.მაინცი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-3 | 10 |
| 6.კიოლნი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-8 | 9 |
| 7.ფრაიბურგი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-4 | 9 |
| 8.უნიონი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-8 | 9 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-8 | 8 |
| 10.ლაიფციგი | 6 | 2 | 1 | 3 | 12-7 | 7 |
| 11.გლადბახი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 12.ჰერტა | 6 | 2 | 0 | 4 | 7-18 | 6 |
| 13.აინტრახტი | 6 | 0 | 5 | 1 | 6-9 | 5 |
| 14.აუგსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-8 | 5 |
| 15.შტუტგარტი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-12 | 4 |
| 16.არმინია | 6 | 0 | 4 | 2 | 3-6 | 4 |
| 17.ბოხუმი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-13 | 3 |
| 18.ფიურტი | 6 | 0 | 1 | 5 | 4-16 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-ფორტუნა ................ 1:2
კარლსრუე-ზ.პაული ................ 1:3
პადერბორნი-კილი ................ 1:2
ჰანზა-შალკე ................ 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ატლეტიკო ................ 1:0
ვალენსია-ბილბაო ................ 1:1
სევილია-ესპანიოლი ................ 2:0
რეალი-ვილიარეალი ................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 7 | 5 | 2 | 0 | 21-8 | 17 |
| 2.სევილია | 6 | 4 | 2 | 0 | 10-2 | 14 |
| 3.ატლეტიკო | 7 | 4 | 2 | 1 | 9-6 | 14 |
| 4.სოსიედადი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-6 | 13 |
| 5.ვალენსია | 7 | 3 | 2 | 2 | 12-8 | 11 |
| 6.რაიო | 6 | 3 | 1 | 2 | 10-6 | 10 |
| 7.ბილბაო | 7 | 2 | 4 | 1 | 6-4 | 10 |
| 8.ბარსელონა | 5 | 2 | 3 | 0 | 8-5 | 9 |
| 9.ბეტისი | 6 | 2 | 3 | 1 | 9-7 | 9 |
| 10.ვილიარეალი | 6 | 1 | 5 | 0 | 6-3 | 8 |
| 11.ოსასუნა | 6 | 2 | 2 | 2 | 7-9 | 8 |
| 12.მალიორკა | 6 | 2 | 2 | 2 | 4-9 | 8 |
| 13.კადისი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| 14.ესპანიოლი | 7 | 1 | 3 | 3 | 4-7 | 6 |
| 15.ელჩე | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| 16.ლევანტე | 6 | 0 | 4 | 2 | 6-9 | 4 |
| 17.სელტა | 6 | 1 | 1 | 4 | 6-10 | 4 |
| 18.გრანადა | 6 | 0 | 3 | 3 | 5-11 | 3 |
| 19.ალავესი | 6 | 1 | 0 | 5 | 2-11 | 3 |
| 20.ხეტაფე | 6 | 0 | 0 | 6 | 2-10 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

იბიცა-ბურგოსი ................ 2:0
ამორებიეტა-ეიბარი ................ 1:1
ლას პალმასი-პონფერადინა ................ 2:1

**იტალია. სერია ა**

სპეცია-მილანი ................ 1:2
ინტერი-ატალანტა ................ 2:2
ჯენოა-ვერონა ................ 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 6 | 5 | 1 | 0 | 12-3 | 16 |
| 2.ნაპოლი | 5 | 5 | 0 | 0 | 14-2 | 15 |
| 3.ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 20-7 | 14 |
| 4.რომა | 5 | 4 | 0 | 1 | 12-5 | 12 |
| 5.ატალანტა | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 6.ფიორენტინა | 5 | 3 | 0 | 2 | 8-9 | 9 |
| 7.ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 12-7 | 8 |
| 8.იუვენტუსი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 9.ბოლონია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-10 | 8 |
| 10.ტორინო | 5 | 2 | 1 | 2 | 8-5 | 7 |
| 11.უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 12.ემპოლი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-8 | 6 |
| 13.ვერონა | 6 | 1 | 2 | 3 | 11-14 | 5 |
| 14.ჯენოა | 6 | 1 | 2 | 3 | 10-15 | 5 |
| 15.სამპდორია | 6 | 1 | 2 | 3 | 7-10 | 5 |
| 16.სასუოლო | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| 17.სპეცია | 6 | 1 | 1 | 4 | 8-15 | 4 |
| 18.ვენეცია | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |
| 19.კალიარი | 5 | 0 | 2 | 3 | 7-13 | 2 |
| 20.სალერნიტანა | 5 | 0 | 1 | 4 | 4-14 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ბრეშა ................ 2:3
კომო-ბენევენტო ................ 1:1
მონცა-პორდენონე ................ 3:1
ჩიტადელა-ლეჩე ................ 1:2
რეჯინა-ფროზინონე ................ 0:0
კოზენცა-კროტონე ................ 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

სტ.ეტიენი-ნიცა ................ 0:3
სტრასბური-ლილი ................ 1:2
ლიონი-ლორიანი ................ 1:1
პსჟ-მონპელიე ................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 8 | 8 | 0 | 0 | 22-7 | 24 |
| 2.მარსელი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-5 | 14 |
| 3.ნიცა | 7 | 4 | 2 | 1 | 15-3 | 13 |
| 4.ლორიანი | 8 | 3 | 4 | 1 | 9-8 | 13 |
| 5.ანჟე | 7 | 3 | 3 | 1 | 10-6 | 12 |
| 6.ლანსი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-8 | 12 |
| 7.ლიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-12 | 12 |
| 8.ლილი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-14 | 11 |
| 9.ნანტი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-7 | 10 |
| 10.სტრასბური | 8 | 3 | 1 | 4 | 12-13 | 10 |
| 11.რენი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-9 | 9 |
| 12.მონპელიე | 8 | 2 | 3 | 3 | 15-15 | 9 |
| 13.კლერმონი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-16 | 9 |
| 14.მონაკო | 7 | 2 | 2 | 3 | 8-10 | 8 |
| 15.რეიმსი | 7 | 1 | 4 | 2 | 7-8 | 7 |
| 16.ბორდო | 8 | 1 | 4 | 3 | 11-17 | 7 |
| 17.ტრუა | 7 | 1 | 2 | 4 | 7-11 | 5 |
| 18.ბრესტი | 7 | 0 | 4 | 3 | 8-14 | 4 |
| 19.მეცი | 7 | 0 | 3 | 4 | 7-15 | 3 |
| 20.სტ.ეტიენი | 8 | 0 | 3 | 5 | 7-17 | 3 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ბასტია-აიაჩო ................ 2:0

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ტილბურგი-პსვ ................ 2:1
აიაქსი-გრონინგენი ................ 3:0
ვიტესი-სიტარდი ................ 1:1
უტრეხტი-ზვოლე ................ 5:1
ფეიენოორდი-ნაიმეგენი ................ 5:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-აროუკა ................ 2:1
გიმარაეში-ბენფიკა ................ 1:3
ტონდელა-ფამილიკაო ................ 3:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ხიმკი-ლოკომოტივი ................ 0:0
ზენიტი-კრილია ................ 2:1
სპარტაკი-უფა ................ 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბეერსხოტი-ეუპენი ................ 0:3
ვარეგემი-კორტრაიკი ................ 2:2
სტანდარდი-სტ.ტრუიდენი ................ 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ზალცბურგი ................ 0:2
ტიროლი-რიდი ................ 4:2
ალტახი-კლაგენფურტი ................ 0:4

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-როსი ................ 2:1
დანდი-რეინჯერსი ................ 0:1
ჰართსი-ლივინგსტონი ................ 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ქარაგუმრუქი ................ 4:0
ანთალია-მალათია ................ 1:0
ადანა-გაზიანთეპი ................ 4:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-სტ.გალენი ................ 2:1
სერვეტი-ლოზანა ................ 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-ბოჰემიანსი 1905 ................ 4:1
ჩესკე-კარვინა ................ 3:1
პარდუბიცე-პლზენი ................ 0:1
ზლინი-სპარტა ................ 2:5

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სტალი-რადომიაკი ................ 1:0
ვარტა-ზაგლებიე ................ 0:2
ლეგია-ჩენსტოხოვა ................ 2:3

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

მტკ-მეზეკოვეშდი ................ 1:0
დირმოტი-ჰონვედი ................ 2:4
ფეჰერვარი-პუშ.აკადემია ................ 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-მარიუპოლი ................ 2:1
შახტარი-ვერესი ................ 4:1
რუხი-დინამო ................ 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-იორებრო ................ 5:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ლილესტრიომი-ტრომსო ................ 1:2
სტრომგოდსეტი-სარპსბორგი ................ 5:0

## ბასილაშვილი გავარდა, ბოლქვაძე აგრძელებს



მეცის საჩოგბურთო ტურნირის მეოთხედფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილმა ფრანგ გაელ მონფილსთან 3:6; 3:6 წააგო.

მატჩი საათზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა და ფრანგის დამაჯერებელი თამაშით მიმდინარეობდა. მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი სეტი იყო. გარკვეული პერიოდი თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა. მერვე გეიმში ბასილაშვილმა საკუთარი ჩაწოდება წააგო და მომდევნო გეიმში მონფილსმა სეტი წაიღო.

მე-2 სეტმა ფრანგის დომინირებით ჩაიარა. მონფილსმა დასაწყისში 2 ჩაწოდება აართვა ბასილაშვილს და 5:1 დაწინაურდა. ბასილაშვილმა თითქოს გაიბრძოლა და ერთი ბრეიკი დაიბრუნა, მაგრამ იქვე მოეშვა და მატჩი დათმო.

მარიამ ბოლქვაძე ჩიკაგო 2-ის ტურნირზე გამოსვლას წარმატებით აგრძელებს. ჩვენებურმა ჩილელი ბარბარა გატიკა ორ სეტში 6:2, 6:1 დაამარცხა და კვალიფიკაციის ფინალში გავიდა.

ბოლქვაძემ პირველ სეტში მეტოქის 2 ჩაწოდების მოგება მოახერხა, ხოლო მე-2 სეტში 3-ჯერ აართვა ქულა და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

მარიამი კვალიფიკაციის ფინალში რუს ანა კალინსკაიას დაუპირისპირდება, რომელმაც ნახევარფინალში ამერიკელი უიტნი ოსუიგვე დაამარცხა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


## ლომებმა თანამოძმე გიენებისგან იხსნეს

კენიის მასაი-მარას ნაკრძალში გიენების ხროვა თავს დაესხა მარტოდ მყოფ ძუ ლომს, რომელიც დაღუპვას თანამოძმეებმა გადაარჩინეს.

გიენების და ლომების დაპირისპირება ტურისტების თვალწინ მოხდა. როგორც პარიტ შარიხმა, რომელმაც ამ შემთხვევის ვიდეოზე გადაღება მოახერხა, განაცხადა, თავდაპირველად დაახლოებით 15 გიენისგან შემდგარი ხროვა თავს დაესხა ძუ ლომს. მათ თითქმის მოახერხეს მისი დამარცხება სასტიკ 30-წამიან დაპირისპირებაში, თუმცა ამ დროს ლომს რამდენიმე თანამოძმე წამოეშველა.

მიუხედავად გიენების რიცხობრივი უპირატესობისა, ლომებმა წამში მოახერხეს მოწინააღმდეგეების გაფანტვა და თავიანთი პრაიდის წევრი გადაარჩინეს. მოგვიანებით კადრებში ჩანს, თუ როგორ უჭირავს პირით ერთ-ერთ ლომს დაპირისპირების დროს მოკლული გიენა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დანიელი მალდინი ტრადიციას აგრძელებს

იტალიის სერია ა-ს მე-6 ტურში მილანმა სტუმრად სპეცია ანგარიშით 2:1 დაამარცხა. ანგარიში 48-ე წუთზე გახსნა... 19 წლის დანიელ მალდინიმ – ლეგენდარული პაოლო მალდინის შვილმა.

ეს დანიელის მე-10 მატჩი იყო მილანის შემადგენლობაში, თუმცა პირველი ძირითადში და გოლიც მის მილანურ კარიერაში პირველი გამოდგა.

**დანიელ მალდინი:**

– გოლის გატანის შემდეგ ძალიან ძლიერი ემოცია დამეუფლა. საბედნიეროდ, მოვიგეთ და 3 ქულა მოვიპოვეთ. პიოლი ძალიან მეხმარება და უამრავ რჩევას მაძლევს. ბედნიერი ვარ, მაგრამ მშვიდიც, ჩემი თანაგუნდელები მეხმარებიან და მწვრთნელი მეუბნება, რომ მშვიდად ვიყო. მამა ძალიან მომთხოვნია. ის რჩევებს მაძლევს და მეხმარება. სამართლიანი მამაა. პაოლო მალდინიმ იტალიის სერია ა-ში ბოლო გოლი 2008 წლის მარტში გაიტანა. ახლა იტალიის ჩემპიონატში 3 მალდინის აქვს გოლი გატანილი – ჩეზარეს, პაოლოსა და დანიელს.

## სამგლოვიარო განცხადებები



### ეთერ ლოლუას ხსოვნას

40 დღის წინ გარდაიცვალა ქართული ენციკლოპედიის ღვაწლმოსილი მუშაკი, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი, უაღრესად კეთილსინდისიერი და სათნო ქალბატონი ეთერ ლოლუა. ქალბატონმა ეთერმა ოქროს მედალზე დაამთავრა ქალთა მეხუთე სკოლა, წითელ დიპლომზე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაც თვალსაჩინოდ აისახა კიდევაც მის ერუდიციასა და განათლებაზე. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი მოსწავლეთა სასახლეში მხარეთმცოდნეობის მიმართულებით ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას, მონაწილეობდა სამეცნიერო-საძიებო ექსპედიციებში საქართველოს მასშტაბით, ამიტომაც გულით დაატარებდა მშობლიური მიწა-წყლის განუზომელ სიყვარულს. ასეთივე სიყვარულით ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას ენციკლოპედიის დაარსების დღიდან. ქალბატონი ეთერის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციისთვის. მარადიული ხსოვნა მის სულს!


**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 2. ბიბლიის ნაწილი; 3. ტკბილეული, დესერტი; 4. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბროწეულისგან მომზადებული საწებელა; 12. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი ხელშეკრულება; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 16. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 18. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 20. ღვინის პატარა ქვევრი.

**თარაზულად:** 6. პოპულარული უკრაინული მინერალური წყალი; 7. მითოლოგიური „მარადიული ურია“; 8. წიაღისეულის მომპოვებელი სამთო საწარმო; 9. იტალიური სამოდელო ფირმა; 10. მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. ეთიოპიელი მარათონელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 19. კურორტი, ნავსადგური აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. მძაფრი გემოს მქონე ფრანგული ყველი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაროჟნა; 2. ფლიდი; 3. ბანოვანი; 4. პრომეთე; 5. დისპაშერი; 9. კრისტი; 12. სუფრული; 14. ქორქია; 15. ეირი; 17. კონკა; 18. ჭკუა.

**თარაზულად:** 6. ფაველა; 7. ცაგარელი; 8. პობედა; 10. პეტრა; 11. ბაგრატიონი; 13. ექსპერტი; 16. ბუზუკი; 19. კომუნიკე; 20. ნაფტუსია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შინჯუკუ; 2. მატაბელი; 3. ინტელი; 4. ლიოვი; 5. მისისპი; 8. კერატიტი; 12. სუმო; 13. აკუსტიკა; 14. არქივი; 16. ლიზინგი; 18. ხვიჩია; 20. არგო.

**თარაზულად:** 6. ვიქტორია; 7. მონოტიპი; 8. კოპალა; 9. ბურჟე; 10. ნეისმიტი; 11. პლესეცკი; 15. აკრატოფორი; 17. ვოლსკი; 19. ველასკესი; 21. ჭიამაია; 22. სამშვილდე; 23. რონდელი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 სექტემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 3.1181 | ევრო — 3.6582 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2724 | 100 რუსული რუბლი — 4.2765 |

**ამინდის პროგნოზი 27 სექტემბრისათვის**




# „ვისთან შეხვედრას ისურვებდით?“ — ლიბერთის ახალი პროექტი
# შეხვედრები ახლებურად

ლიბერთიმ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სოფლებსა და ქალაქებში ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო.

„შეხვედრები ახლებურად“ — ასე ჰქვია ახალ პლატფორმას, რომლის საშუალებით ლიბერთი განსაკუთრებულ შეხვედრებს უწყობს უფროსი და ახალგაზრდა თაობის ადამიანებს.

პროექტი „ახალი ლიბერთი ახალი ცხოვრებისთვის“ სტრატეგიისა და სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

„ვისთან შეხვედრას ისურვებდით?“ — ამ კითხვით ლიბერთიმ შეხვედრების მონაწილეების სურვილები შეაგროვა და უფროსი თაობისთვის საინტერესო ადამიანები მათივე პასუხების მიხედვით შეარჩია. მათთან ერთად ყველა შეხვედრაში მონაწილეობს თეატრმცოდნე და ტელერადიო წამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე, რომელიც, ლიბერთისთან ერთად, შეხვედრების მასპინძელია.




**ნიკოლოზ წულუკიძე:**

— განსაკუთრებულად მიხარია, რომ შემოვუერთდი ლიბერთის ამ არაჩვეულებრივ ინიციატივას და ჩემს ყველაზე საყვარელ უფროსი თაობის ადამიანებთან ერთად ვარ.

ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დავდივართ სოფელ-სოფელ და ვხვდებით იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენი ნახვა უხარიათ და ჩვენ კი მათი ნახვა გვახარებს.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა თაობა ხვდება ერთმანეთს. ჩვენ შორის ასაკობრივი ბარიერი მოშლილია და მთავარია, რომ საერთო ინტერესებისა და საერთო განწყობის ადამიანები ვლაპარაკობთ იმაზე, რაც გვიყვარს.

ამ ყველაფრისთვის დიდი მადლობა ლიბერთის, რომ მომცა შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ ამ არაჩვეულებრივ სოფლებში ვიარო, შევხვდე ამ საოცარ ხალხს და მოვისმინო სიბრძნე და დავინახო მათი სუფთა და ნამდვილი თვალები.

ინტერაქციული შეხვედრები კორონავირუსის რეგულაციების სრული გათვალისწინებით ტარდება. პირველი შეხვედრა მესტიაში შედგა. უფროსი თაობის წარმომადგენლებს მათივე სურვილით მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ეწვია.

**გიორგი სუხიტაშვილი:**

— ეს პროექტი ჩემთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ მე თვითონ სახლში მყავს უფროსი თაობის ადამიანი, რომელთანაც ყოველდღიური კავშირი მაქვს, ვიცი, რაზე ვისაუბროთ, რა უნდა ვკითხო, რა გამოცდილების გაზიარება ვთხოვო და ვთვლი, რომ ქვეტექსტების გარეშე ურთიერთობას არაფერი ჯობს, როდესაც ჩვენ მათი საუბარი გვსიამოვნებს და ისინი, თბილი სიტყვების გარდა, არაფერს ითხოვენ.

ბედნიერი ვარ, რომ ამ პროექტის მცირე ნაწილი ვარ და, ეს პროექტი გაგრძელდება ჩემთან ერთად თუ ჩემ გარეშე, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. სიამოვნებით მივადევნებ თვალყურს ჩემს მეგობრებს, რომლებიც შეხვდებიან ჩვენს უფროს თაობას.

ლიბერთის ახალი პროექტის ფარგლებში სამეგრელოს სოფელ ხეთას მცხოვრებლებმა დუტა სხირტლაძესთან შეხვედრა ისურვეს, გურიის სოფელ ბახვში კი უფროსი თაობის წარმომადგენლებს ლიბერთის დახმარებით „გარდენია შევარდნაძის“ მფლობელმა ზურა შევარდნაძემ უმასპინძლა.

**ზურა შევარდნაძე:**

— ალბათ, ამაზე უფრო სასიხარულო არც არაფერია, გაალო შენი სახლის ჭიშკარი, შენი ბებიის სახლი, გაამზეურო, წინა დღეს ჩამოხვიდე, გაალამაზო აქაურობა და უმასპინძლო შენთვის ყველაზე საყვარელ გურულებს, ყველაზე საყვარელ ადამიანებს, იმ ადამიანებს, რომლებიც გენატრება, მათი ხმები სულ გესმის, მათი სახეები სულ გახსოვს, მათი თვალები გენატრება, გამხნევებენ, გაძლიერებენ. თუ რამეს წარმოვადგენ, ამ ხალხით ვარ. ამიტომ ამ ხალხთან ერთად ყოფნა ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

ამაზე დიდი სიხარული, რომ ჩემს ეზოში მოვუწყო შეხვედრა ასეთ საინტერესო ადამიანებს, ნამდვილ გურულებს, ამაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის, არც ვიცი, თუ არის და მადლობა, რომ მომეცა საშუალება, ამ ადამიანებისთვის თბილი სიტყვები მეთქვა.

დიდი მადლობა ლიბერთის იმისათვის, რომ გამამხნევა, გამაძლიერა და მომცა საშუალება, ჩემს ეზოში შემეკრიბა ყველა გამორჩეული ადამიანი. აქ ისეთი ადამიანები მოვიდნენ, რომლებთანაც შეხვედრა მხოლოდ მე კი არა, ნებისმიერ ადამიანს გაუხარდება, იმიტომ, რომ ნამდვილები და საინტერესოები არიან და არიან ისეთები, როგორებიც არიან. მათგან შეიძლება, მხოლოდ ისწავლო.

**ლიბერთის CSR და კომუნიკაციების მენეჯერი ნინი ბუკია:**

— ჩვენს მომხმარებლებთან უშუალო, ადამიანური ურთიერთობები ახალი ლიბერთის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება. ეს ეხება ყველა თაობის მომხმარებლებს — მათ შორის, უფროს თაობას, რომელთანაც ჩვენ მრავალი წლის ურთიერთობა გვაკავშირებს.

ლიბერთის ახალი პროექტი „შეხვედრები ახლებურად“ საქართველოს სხვადასხვა სოფელსა და ქალაქში სექტემბრის ბოლომდე გრძელდება.

„ახალი ლიბერთი ახალი ცხოვრებისთვის“ სტრატეგიისა და სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში ლიბერთი ნებისმიერი ასაკის ადამიანებისთვის ახლო მომავალში არაერთი საინტერესო და საჭირო პროექტის განხორციელებას გეგმავს.

## ნიკოლ კიდმანმა დემნა გვასალიას კაბა მოირგო




მსოფლიო კინოვარსკვლავმა ნიკოლ კიდმანმა ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას კაბა მოირგო. ხელოვანმა მოდის ჟურნალ „ჰარპერ ბაზარისთვის“ იპოზიორა.

ნიკოლ კიდმანის ფოტოსესიიდან საუკეთესო ფოტო ამერიკული ჟურნალის „ჰარპერ ბაზარის“ 2021 წლის ოქტომბრის ნომრის ყდაზეა დაბეჭდილი. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნიკოლ კიდმანი დემნა გვასალიას სამოსით ინტერესდება. მსახიობმა ინტერნეტში არაერთი ფოტო გაავრცელა, სადაც სხვადასხვა წელს დიზაინერის მიერ შექმნილი სამოსი აცვია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

მარო ავადმყოფი მიხოს საწოლთან ზის და მოთქვამს:

— მიხოოოო, არ დამტოვოოო... არ გაგიშვებ, მეც თან გამოგყვები, მიხოოო...

— იმქვეყნად მაინც მამასვენე, შე შობელძაღლო შენა, ჰაა!...

•••

მამაკაცი გამყიდველ გოგონას ეკითხება:

— გოგონი, ტრუსები გაქვთ?

— არა.

— და გაყიდვაში?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, მგონი, სიმსუქნისკენ მაქვს მიდრეკილება.

— არა, რას ამბობ, ძვირფასო, უბრალოდ, უზომოდ ბევრს ჭამ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გურამ ოდიშარია 70 წლის გახდა



პოეტი და პროზაიკოსი გურამ ოდიშარია იუბილარია. მას 70 წელი შეუსრულდა. 20-ზე მეტი პოეტური და პროზაული წიგნის ავტორს იუბილე კოლეგა რაულ ჩილაჩავამ მიულოცა:

— 70 წელი შეუსრულდა ჩემი თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს, პუბლიცისტს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს გურამ ოდიშარიას. ვულოცავ ჩემს ძმასა და მეგობარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებ ფიზიკურ და სულიერ სიმხნევეს, ულევ შთაგონებას ახალი წიგნების შესაქმნელად.

წინ ჯერ კიდევ ახალი ჰორიზონტებია და ახალი იდეები. ჩემი მეგობარი შესანიშნავ ფორმაშია და, იმედია, მრავალრიცხოვან მკითხველს კვლავაც გაახარებს მორიგი მაღალმხატვრული გამოცემებით. მრავალჟამიერ, ჩემო გურამ!

## მიხეილ ზაქარიაშვილი: „მერაბ სეფაშვილი თბილისის საპატიო მოქალაქე უნდა იყოს“



მომღერალი და კომპოზიტორი მიხეილ ზაქარიაშვილი მერაბ სეფაშვილისთვის თბილისის საპატიო მოქალაქეობის მინიჭებას ითხოვს:

— მერაბს ვკითხე, თბილისის საპატიო მოქალაქე ხარ თუ არა— მეთქი? უეჭველი მეგონა, რომ იყო, გადავამოწმე და არაო! მერია, ამის მერე რა უნდა გელაპარაკოთ? სასწრაფოდ მიეცით ეგ ტიტული მერაბს! მერაბი დედით, მამით თვითონ ხომ არის და არის ნაღდი თბილისელი, თავისი შემოქმედებით ხომ იმსახურებს, რაც მაგას თბილისზე აქვს ნამღერი სიმღერები! ხალხო, მოითხოვეთ, რომ ახლა თბილისობაზე მაინც გადასცენ ეს ტიტული! უტვინოებო, მერაბია, მერაბი ქალაქის სიამაყე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



**27 სექტემბრისათვის**

**ვერძი** — ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** — ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** — მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** — თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** — შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** — იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** — დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** — თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** — გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 4. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 5. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ქართველი კომიკოსი; 12. მოხეტიალე მომღერალი, მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 18. გარეგნული მომხიბვლელობა, შარმი.

**თარაზულად:** 6. დაბადების დღის აღნიშვნა; 7. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ჩანჩქერი არგენტინაში; 10. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 11. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმში; 13. სასამართლო გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში; 16. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 19. საკონდიტრო ნაწარმი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*